www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | სამშაბათი, 8 ოქტომბერი, 2013 წელი. | №3382 (188) | ფასი 50 თეთრი

„მოთელვა" ვილნიუსის სამიტამდე

ვილნიუსის სამიტამდე ორი თვით ადრე, საქართველო საერთაშორისო საპარლამენტო კონფერენციას მასპინძლობს, რომლის მიზანი ევროკავშირთან დაახლოების გზაზე ქვეყნის მიერ მიღწეული პროგრესის განხილვაა. კონფერენცია საქართველოს პარლამენტის ორგანიზებითა და გაერო-ს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით ტარდება.

ღონისძიებას საქართველოს, ბალტიისპირეთისა და ცენტრალური ევროპის ქვეყნების პარლამენტების წარმომადგენლები, საქართველოს მთავრობის წევრები, საერთაშორისო ორგანიზაციების, დიპლომატიური მისიებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები ესწრებიან.

გუშინ კონფერენცია სასტუმრო «ქორთიარდ მარიოტში" საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა გახსნა. ის დარწმუნებულია, რომ საქართველოში პოლიტიკური და ხელისუფლების ცვლილებები ევროპისკენ ქვეყნის სტრატეგიულ მიმართულებას არ ცვლის. როგორც უსუფაშვილი ამბობს, ამ გარემოებას ის განაპირობებს, რომ საქართველოს მოსახლეობის 80 პროცენტი ორი ათწლეულია, სწორედ ევროპულ ინტეგრაციას უჭერს მხარს. უსუფაშვილის თქმით, ვილნიუსის სამიტი, რომელიც ძალიან მალე გაიმართება, საქართველოსთვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენად იქცა. **„სამიტისთვის ემზადება მთავრობა, პარლამენტი და საზოგადოება,"** - შენიშნავს პარლამენტის თავმჯდომარე და განაგრძობს:

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

ოლიმპიური ცეცხლის მეჩირაღდნე - აგვისტოს ომის გმირი რუსი მფრინავი

რუსი სამხედრო მფრინავი, 2008 წლის აგვისტოს ომის გმირი ივან ნიჩაევი სოჭის ოლიმპიური თამაშების ერთ-ერთი მეჩირაღდნე იქნება.

რუსული ტელეკომპანია „რასიას" ინფორმაციით, ნიჩაევი 2008 წლის აგვისტოს ომში მონაწილეობდა. სამხედრო თვითმფრინავი, რომელსაც ის მართავდა, დააზიანეს, თუმცა პილოტმა დავალება შეასრულა და თვითმფრინავის ავიაბაზაზე დასმა შეძლო.

ივან ნიჩაევი დარწმუნებულია, რომ მიუხედავად მღელვარებისა, ყველაფერს ღირსეულად გაართმევს თავს.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

ვანო მერაბიშვილი: „ვერც ნაცვლიშვილს, ვერც ლევან პირველს, ვერც კახა თარგამაძეს თავზე ვერ დაგვასვამთ„

ქუთაისის საქალაქო სასამართლოში ყოფილი პრემიერ-მინისტრ ვანო მერაბიშვილის და ყოფილი ჯანდაცვის მინისტრ ზურაბ ჭიაბერაშვილის საქმის არსებითი განხილვა განახლდა.

დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურა ყოფილ პრემიერსა და კახეთის გუბერნატორს 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების პერიოდში ე.წ. დასაქმების პროგრამის ფარგლებში ამომრჩევლის მოსყიდვას ედავება.

გაგრძელება
მე-6 გვერდზე

სირიის „ქიმიური" განიარაღების პროცესი დაიწყო

ივა შილაკაძე

გაეროსა და ქიმიური იარაღის აკრძალვის საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტები სირიაში წინა კვირაში ჩავიდნენ და უკვე გუშინწინ, კვირას, განიარაღების პროცესი დაიწყო. სირია, ჯერჯერობით, ამ საქმეში საერთაშორისო საზოგადოებასთან სრულად თანამშრომლობს და კერი-ლავროვის შეთანხმების პირობებს იცავს, რომელიც გულისხმობს სირიის ქიმიური არსენალის სრულ განადგურებას 2014 წლის ივნისის ბოლოსთვის.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6643⇓
1 ევრო	2.2110⇓
1 ინგლისური გირვანქა	2.5933⇓
1 თურქული ლირა	0.8622⇓
100 რუსული რუბლი	5.0433⇓

თბილისი	31°C - 20°C
ქუთაისი	33°C - 20°C
ზუგდიდი	32°C - 21°C
ბათუმი	27°C - 21°C

ნავთობი	3.19	+0.00	+0.16%
გაზი	3.58	+0.11	+3.07%
ოქრო	1,743.20	-9.80	-0.56%
ხორბალი	868.50	+12.25	+1.41%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA
ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

ნოემბრის ტესტ-მატჩების სერიის შესახებ



ტარანტინოს რჩეულები

გიჟმაჟმა კვენტინ ტარანტინომ, რომელიც ზოგჯერ საყვარელი ფილმების ათეულების, ოცეულებისა და ასე შემდეგ შედგენითაა დაკავებული, 2013 წლის საუკეთესო 10 ფილმის ჩამონათვალი შემოგვთავაზა. სია ანბანური თანმიმდევრობითაა შედგენილი, ამრიგად ძნელი სათქმელია, განსაკუთრებით რომელმა ფილმმა აღაფრთოვანა რეჟისორი, თუმცა ამას მნიშვნელობა არ აქვს - მთავარი ის გახლავთ, რომ სია საკმაოდ საკამათოა.

საუკეთესოთა სიას ჯილ სოლოუეის «დღის აღფრთოვანება» ხსნის (Afternoon Delight) - დამოუკიდებელი ფილმი მეოჯახე დედაზე, რომელიც მოულოდნელად საკუთარ თავში სექსუალურ ქალს აღმოაჩენს. შემდეგია რიჩარდ ლინკლეიტერის შესანიშნავი ტრილოგიის დასკვნითი ფილმი «შუაღამის შემდეგ», რომელშიც უკვე დაოჯახებული ჯესისა და სელინის ურთიერთობას ვადევნებთ თვალს.

გაგრძელება
მე-5 გვერდზე

აპატურაი სოჭის ოლიმპიადასა და მავთულხლართებს შორის კავშირს ვერ ხედავს

ნატო-ს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ჯეიმს აპატურაი აცხადებს, რომ სოჭის ოლიმპიადასა და რუსეთის მიერ კონფლიქტისპირა სოფლებში მავთულხლართების გავლებას შორის კავშირს ვერ ხედავს. ამის შესახებ აპატურაიმ «მოამბესთან» მიცემულ ინტერვიუში ისაუბრა.

«ეს ბარიერები და მავთულხლართები ვერ შეაკავებენ ტერორისტებს. კარგად გაწვრთნილ ტერორისტს ბარიერი ვერ დააბრკოლებს. ჩვენი ექსპერტები ვერ ხედავენ კავშირს და ტერორისტებისგანაც დაცვა ამ მშენებლობის ლეგიტიმაციისთვის საფუძველი ვერ იქნება,» - აცხადებს აპატურაი.

როგორც აპატურაი აღნიშნავს, ჩრდილოატლანტიკური ალიანსი დვანსა და დიცში განვითარებულ მოვლენებს დიდი ყურადღებით აკვირდება.

«ვაკვირდებით და შეწუხებულები ვართ იმით, რაც ხდება. ჩვენ გვინდა რუსეთის ფედერაციასთან პარტნიორული ურთიერთობა, მაგრამ ეს არის საკითხი, რომელსაც არ დავთმობთ. რუსულ მხარეს მოვუწოდებთ, რომ შეჩერდნენ და გააუქმონ მიღებული გადაწყვეტილება. ეს არ მუშაობს, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია, რომ ნატო პირდაპირ ჩაერიოს. ეს არავისთვის იქნება სასარგებლო. ნატო-ს რისი გაკეთებაც შეუძლია, არის შემდეგი - საკითხი ნატო-სთვის მნიშვნელოვანია და რუსეთი ამ საკითხს ვერ გაექცევა,» - აცხადებს აპატურაი.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა მავთულხლართების გაბმა სოჭის ოლიმპიადას დაუკავშირა. მისი თქმით, მთელი რუსეთი გადაყოლილია იმ თემას, რომ ოლიმპიადამ მშვიდობიანად ჩაიაროს. ამ განცხადების გამო პრემიერი მკვეთრად გააკრიტიკა პრეზიდენტმა სააკაშვილმა. სააკაშვილის თქმით, ივანიშვილი რუსეთის მიერ კულუარულად გავრცელებულ აბსურდულ არგუმენტებს აჟღერებს და «მცოცავი ოკუპაციის» გამართლებას ეძებს.

კოტე კუბლაშვილი: დაუშვებელია, წინა ხელისუფლების შეცდომას ახალმა ხელისუფლებამ ორჯერ მეტი შეცდომით უპასუხოს

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილი მოსამართლეების დანიშვნის შესახებ ცვლილებებს არ ეთანხმება.

როგორც კუბლაშვილმა გუშინ გამართულ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, პარლამენტმა მესამე მოსმენით მიიღო ცვლილებები და დაადგინა, რომ მოსამართლეები უვადოდ დანიშვნამდე 3-წლიან გამოსაცდელ ვადას გაივლიან, რაც მათ დამოუკიდებლობას შეუშლის ხელს.

„ეს არის სასამართლოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ მიმართული ნაბიჯი. ჩვენ დარწმუნებულები ვართ, რომ 3 წლით დანიშნული ვერც ერთი მოსამართლე ვერ იქნება ისეთი დამოუკიდებელი, როგორიც უნდა იყოს, რადგან პარლამენტმა ამ 3-წლიან დანიშვნას მონიტორინგი დაუწესა და ჩაწერა, რომ იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 3-წლით დანიშნულ მოსამართლეს უნდა ჩაუტაროს მონიტორინგი, მხოლოდ ამ მონიტორინგის შეფასების შემდეგ შეიძლება მათი უვადოდ გადანშვნა. რას ეხება და რა კრიტერიუმებით იქნება განსაზღვრული ეს მონიტორინგი, ამაზე მსჯელობა გადაიდო, მაგრამ თავისთავად უკვე მონიტორინგი ნიშნავს მოსამართლის დამოუკიდებლობის პირდაპირ შეზღუდვას. პარლამენტს მივმართე, რათა ამ საკითხის განხილვა და მესამე მოსმენით მიღება გადაედო. ამავე თხოვნით მიმართა პარლამენტს არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციამ," - განაცხადა კუბლაშვილმა.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თქმით, ხელისუფლება, რომელიც ამბობს, რომ ხელს შეწყობს სასამართლოს დამოუკიდებლობას და მხარს დაუჭერს მოსამართლეებს, ასეთ ნაბიჯებს არ უნდა დგამდეს.

„დაუშვებელია, რომ ახლანდელმა ხელისუფლებამ გაიმეროს წინა ხელისუფლების შეცდომა, რომელმაც შემოიტანა 3 ვადით მოსამართლეების დანიშვნის შესაძლებლობა. დაუშვებელია, ახალმა ხელისუფლებამ ეს შესაძლებლობა ვალდებულებად გადააქციოს და თქვას, რომ დიახ, 3 წლით უნდა დაინიშნონ მოსამართლეები. დაუშვებელია, წინა ხელისუფლების ასეთ შეცდომას ახალმა ხელისუფლებამ ორჯერ მეტი შეცდომით უპასუხოს. ეს აბსოლუტურად მიუღებელია. ჩვენ მზად ვართ, მონაწილეობა მივიღოთ მსჯელობაში, რომელიც მონიტორინგის კრიტერიუმების განსაზღვრას შეეხება," - აღნიშნა კუბლაშვილმა.

კუბლაშვილი მიუღებელს უწოდებს იმასაც, რომ მოსამართლეები, 10-წლიანი ვადის გასვლის შემდეგ, ისევ 3-წლიანი გამოსაცდელი ვადით უნდა დაინიშნონ. „პარლამენტმა ასევე დაადგინა, რომ ნებისმიერი მოსამართლე, რომელიც უფლებამოსილების 10-წლიან ვადას გაივლის, მომავალში, თუ განაცხადს შემოიტანს, ის ასევე 3-წლიანი გამოსაცდელი ვადით დაინიშნება. 10-წლიან ნამსახურებ მოსამართლეს რომ 3-წლიანი გამოსაცდელი ვადით ნიშნავ, აქ ლოგიკა არ არსებობს," - აღნიშნა კუბლაშვილმა.

„მოთელვა" ვილნიუსის სამიტამდე

პირველი გვერდიდან

- ბოლო ერთი თვის განმავლობაში და საპარლამენტო არჩევნებამდეც ისმოდა კითხვა იმის შესახებ, ქვეყანაში ხელისუფლების შეცვლის შემთხვევაში რა მოხდებოდა და ხომ არ გამოიწვევდა ხელისუფლების ცვლილება კურსისა და ქვეყნის განვითარების პრინციპების შეცვლას. დღეს, ვილნიუსის სამიტამდე რამდენიმე კვირით ადრე, სრულიად ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიოში აღარ დარჩა ყველაზე უფრო გამოუსწორებელი სკეპტიკოსიც კი, რომელიც ეჭვს შეიტანს საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების არჩევანში, რა გვინდა ჩვენ, კოალიცია „ქართულ ოცნებას". ჩვენ გვინდა საქართველოს სწრაფი განვითარება, მეტი დემოკრატია და არ ვფიქრობთ, რომ დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებამ რაიმე მიზეზით უნდა მოიცადოს, როგორც ამას წინათ მიიჩნევდნენ. სწორედ დემოკრატიული, თავისუფალი საქართველოა ის, რომელსაც ევროპა საკუთარ კარს გაუღებს."

უსუფაშვილს მიაჩნია, რომ საქართველოსთვის ტესტების ჩაბარების დრო ნელ-ნელა უნდა დასრულდეს. მისი თქმით, ამერიკელი და ევროპელი მეგობრების მხრიდან სულ უფრო და უფრო ნაკლებად ისმის განცხადებების იმის შესახებ, რომ მოახლოებული საპრეზიდენტო არჩევნები მორიგი ჩასაბარებელი ტესტი იქნება. **„მიუხედავად ამისა, ჩვენ გვინდა, რომ ეს არჩევნები და საარჩევნო კამპანია ვილნიუსის სამიტის წინ მკაფიო დემონსტრირება იყოს იმისა, რა შეიცვალა საქართველოში და რატომ იმსახურებს ჩვენი ქვეყანა ევროპელი პარტნიორების მხარდაჭერას,"** - თქვა დავით უსუფაშვილმა.

პარლამენტის თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა იმ საკონსტიტუციო ცვლილებებზეც, რომლებიც საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ უნდა ამოქმედდეს. მისი თქმით, ქვეყანა საპარლამენტო მმართველობის მოდელზე გადადის, რომლის ფარგლებშიც პარლამენტს მნიშვნელოვანი როლი და ფუნქციები დაეკისრება.

უსუფაშვილი პოლიტიკიდან წასვლის შესახებ პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის განცხადებასაც ეხმიანება. როგორც პარლამენტის სპიკერმა აღნიშნა, ევროპა მრავალპარტიულ-დემოკრატიულ სისტემაზე დაფუძნებული პოლიტიკური სისტემაა. უსუფაშვილი ამბობს, რომ ეს არის ხალხის ნების აღმასრულებელი მთავრობების პოლიტიკური სისტემა და არა მორიგი გმირების, მესიების, მხსნელი პიროვნებების იმედზე არსებული საზოგადოებები, როგორც ეს დღემდე იყო საქართველოში. **„სწორედ ამ ფონზე უნდა განვიხილოთ პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის გეგმა და განცხადება იმის შესახებ, რომ იგი შესაძლოა, ახლო მომავალში სხვა როლში მოგვევლინოს, რათა საქართველოს პოლიტიკურ სისტემას, მმართველ კოალიციას სწორედ დემოკრატიული გზით განვითარების საშუალება მისცეს, მე ვიტყოდი, აიძულოს კიდეც პოლიტიკური სისტემა, რომ ამ მიმართულებით გადადგას ნაბიჯები,"** - აცხადებს უსუფაშვილი.

პარლამენტის სპიკერი ასევე შეეხო საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების საკითხს და ევროპელი პარტნორებისგან უფრო ქმედითი და პრინციპული რეაგირების იმედი გამოთქვა. **„რატომღაც, კვლავ ვაწყდებით იმ პრობლემას, როდესაც 21-ე საუკუნის მსოფლიოში არსებობენ სახელმწიფოები და პოლიტიკური სისტემები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ მათი გადასაწყვეტია არა მხოლოდ საკუთარი ბედი, არამედ სხვა სახელმწიფოებისა და ხალხების ბედი. საქართველომ და ქართველმა ხალხმა ამ თემაზე ძალიან მკაფიო განაცხადი გააკეთა, რომ ჩვენ ვართ თავისუფალი, სუვერენული სახელმწიფო, ჩვენ მზად ვართ, მოვუსმინოთ ყველას, გავიზიაროთ ყველა ქვეყნისა და სახელმწიფოს სტრატეგიული ინტერესებიც, მაგრამ მივიღოთ გადაწყვეტილებები და გადავგდგათ ნაბიჯები ჩვენი სახელმწიფო სტრატეგიული ინტერესების შესაბამისად. მიგვაჩნია, რომ დემოკრატიული მსოფლიო და, პირველ რიგში, ევროპა დაგვეხმარება, რათა ჩვენს მეზობელ სახელმწიფოს მარტივი ჭეშმარიტება ავუხსნათ. ჩვენ ველით ამას არა მხოლოდ სხვადასხვა ტრიბუნებიდან გაკეთებული განცხადებებითა და დეკლარაციებით, არამედ უფრო ეფექტური ქმედებებითაც. დღეს, როდესაც ჩვენ ამ კონფერენციას ვატარებთ და საქართველო თავის არჩევანზე საუბრობს, გრძელდება მცოცავი ოკუპაცია. საქართველოს ტერიტორიების ახალ-ახალი ნაწილები ექცევა საოკუპაციო ხაზს მიღმა. ამიტომ, ჩვენ კიდევ ერთხელ გამოვთქვამთ იმედს, რომ ის თავისუფალი ევროპა, რომლისკენაც ჩვენ მივისწრაფვით, იქნება ქმედითი და პრინციპული ძალიან მარტივი ფუნდამენტური ღირებულებების დასაცავად,"** - განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

კონფერენციაზე შემდეგი გამომსვლელი ლიტვის რესპუბლიკის სეიმის სპიკერი ლორეტა გრაუჟინიენე იყო. როგორც მან აღნიშნა, საქართველოს ევროპულ არჩევანში ეჭვი არასდროს ეპარებოდა. მისი თქმით, ბუნებრივია, საქართველო ვილნიუსის სამიტიდან ბევრს ელის. როგორც გრაუჟინიენე ამბობს, ლიტველებსაც დიდი მოლოდინი აქვთ, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ საქართველო და ქართველი ხალხი ყოველთვის ლიტვის ნამდვილ ერთგულ მეგობრად და მოკავშირედ მიაჩნიათ. ამასთან, სეიმის სპიკერის თქმით, მხარდაჭერისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანი მიზეზია ის, რომ ლიტვასა და ევროკავშირს სურთ, აღმოსავლეთ ევროპის მეზობლები უსაფრთხო, თანამედროვე და დასავლეთ სახელმწიფოთა რიგებში იხილონ. **„ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა შესაძლოა, საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერების მნიშვნელოვანი სტიმული გახდეს. თქვენ, საქართველოს პოლიტიკოსებს, ქართული საზოგადოება გიყურებთ, რომელიც თქვენ მიერ საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტების განსაზღვრას ელის. გისურვებთ ყოვლისმომცველ, გონივრულ და ისეთ დისკუსიას, რომელიც მოიცავს არა მარტო წარსულს, არამედ მომავალსაც,"** - აღნიშნა თავის მიმართვაში ლორეტა გრაუჟინენემ.

საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ვიქტორ დოლიძე მიიჩნევს, რომ ევროკავშირისკენ მიმავალ გზაზე საქართველოსთვის სტრატეგიული პარტნიორების გამოცდილების გაზიარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. დოლიძის თქმით, საქართველოს ორმხრივი თანამშრომლობის დონეზე ყველა ქვეყანასთან საქმიანი და მეგობრული ურთიერთობა აქვს.

დოლიძე პარლამენტში პოლიტიკურ ოპონენტებთან თანამშრომლობის საკითხზეც ამახვილებს ყურადღებას. **საქართველოს პარლამენტი დინამიკურია, ჩვენს ოპონენტებთან საგარეო პრიორიტეტების შესახებ ვთანხმდებით, მათ გამოცდილებას ვიზიარებთ, რაც ჩვენს ქვეყანას ევროსტრუქტურებთან ინტეგრაციის პროცესში წაადგება,"** - ამბობს ვიქტორ დოლიძე.

რაც შეეხება ოკუპირებული ტერიტორიების საკითხს, ვიქტორ დოლიძემ განაცხადა, რომ საქართველოს მცდელობის მიუხედავად, რუსეთი არაადეკვატურ ქმედებებს დგამს, რაც მცოცავი ანექსიის ფაქტებით გამოიხატება. დოლიძემ საქართველო-რუსეთს შორის ურთიერთობის ორი მიმართულების შესახებ ისაუბრა. მისი თქმით, ერთია აბაშიძე-კარასინის მოლაპარაკებები, რასაც ეკონომიკური ურთიერთობის თვალსაზრისით გარკვეული შედეგები უკვე მოჰყვა და მეორეა ჟენევის ფორმატში გამართული საერთაშორისო დონის კონსულტაციები, რომლისგანაც შედეგები ჯერ არ ჩანს, თუმცა, ვიქტორ დოლიძის აზრით, ეს მოლაპარაკებები უნდა გაგრძელდეს.

ოკუპირებული ტერიტორიების საკითხს გამოეხმაურა საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი ფილიპ დიმიტროვი. როგორც კონფერენციაზე მყოფმა დიმიტროვმა ჟურნალისტებს უთხრა, სოფლებში დვანსა და დიცში შექმნილი ვითარება დრამატულია და ამის გამო ხალხი იტანჯება.

კონფერენციის ძირითადი თემატიკის შესახებ საუბრობს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი ალექსი პეტრიაშვილი. მას მიაჩნია, რომ დღეს ქართულ მხარეს კიდევ ერთხელ ეძლევა საშუალება, ევროპელ პარტნიორებთან და მეგობრებთან ის უმთავრესი მიზნები და ამოცანები დააყენოს, რომლებიც ვილნიუსის სამიტს და შემდგომ პროცესებს ეხება. „უმნიშვნელოვანესია ვილნიუსში ასოცირების შეთანხმების პარაფირება და უმოკლეს პერიოდში - დაახლოებით, ერთი წლის განმავლობაში ან უფრო ნაკლებ დროში მისი ხელმოწერა. ეს არის შეთანმება, რომელიც საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციას რეალურად გახდის შეუქცევადს და მიგვიყვანს იმ წერტილამდე, საიდანაც ევროკავშირის მიმართულებით წინსვლა ნამდვილად იქნება," - აღნიშნავს ალექსი პეტრიაშვილი.

საპარლამენტო უმცირესობის წევრი დავით დარჩიაშვილი, რომელიც კონფერენციაში მონაწილეობს, ამბობს, რომ ვილნიუსის სამიტზე ასოცირების შეთანხმების პარაფირების შანსი არსებობს, მაგრამ ამ შანსს გამოყენება უნდა - მათ შორის ქვეყნის შიგნით, საშინაო დავალებების შესრულებისა და პოლიტიკური და სამართლებრივი პრობლემების დარეგულირების თვალსაზრისით. **„ევროპისკენ მიმავალ გზაზე ჩვენი რიტორიკა ძალიან მკაფიო უნდა იყოს. როდესაც სიმპათიური მოლოდინით ევრაზიული კავშირის შესახებ საუბრები გვესმის, ეს ევროკავშირისკენ ჩვენს სვლას ხელს უშლის,"** - აღნიშნა დავით დარჩიაშვილმა. მან კიდევ ერთ პრობლემად შერჩევითი და პოლიტიკური სამართალი დაასახელა.

საკუთარი ინფორმაცია

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: ირმა ჯიშკარიანი, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ. თილისი, ვაჟა-ფშაველას 45, 14-ე სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

ოლიმპიური ცეცხლის მეჩირაღდნე - აგვისტოს ომის გმირი რუსი მფრინავი

პირველი გვერდიდან

„ეს ჩემი და ჩემი ქვეყნის ცხოვრებაში დიდი ისტორიული მომენტია,“ - განაცხადა ნიჩაევმა.

ამ ფაქტის გამო სოჭის ოლიმპიურ თამაშებში საქართველოს მონაწილეობის საკითხი ისევ დღის წესრიგში დადგა.

საქართველოს მთავრობამ განცხადება გაავრცელა, რომელშიც ნათქვამია, რომ საქართველოს მთავრობა სპორტული თამაშების **„ზედმეტი პოლიტიზების შემთხვევაში“** შესაბამის პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს მიიღებს.

„ყველას კარგად ესმის, რომ საქართველოს რეგიონების ოკუპაციის ფონზე სოჭის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში საქართველოს ოლიმპიური გუნდის მონაწილეობის შესახებ გადაწყვეტილება უკიდურესად რთულად მისაღები იყო. მიუხედავად ამისა, საქართველოს ოლიმპიურმა კომიტეტმა, საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით, კეთილი ნება გამოხატა და საქართველო-რუსეთის ურთიერთობის თანმიმდევრული მოწესრიგების მნიშვნელობიდან გამომდინარე გადაწყვიტა, 2014 წლის სოჭის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა მიიღოს.

მიგვაჩნდა და ახლაც მივიჩნევთ, რომ ჩვენს სახელმწიფოებს შორის ურთიერთობის მოწესრიგება ორივე ქვეყნის მოქალაქეებისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია. ამ რთულ გზაზე კი აუცილებელია ურთიერთობის ისეთი სფეროების გამოკვეთა, რომლებიც ნაკლებად წინააღმდეგობრივია და ასევე ნაკლებად ეხება საქართველო-რუსეთის ძირითად პრობლემებს. ასეთებად ჩვენ მივიჩნევთ კულტურას, ვაჭრობას, სატრანსპორტო კავშირებს, ტურიზმსა და სპორტს.

სამწუხაროდ, რუსეთის მხრიდან საქართველოს კეთილი ნება ჯერ კიდევ ვერ ან არ არის სათანადოდ შეფასებული და შეიმჩნევა საპირისპირო ტენდენციები. მაშინ როდესაც ჩვენი სურვილია ოლიმპიური თამაშების დეპოლიტიზაცია და ჯანსაღ სპორტულ შეჯიბრებაში მონაწილეობა, რადგან ოლიმპიური იდეა სწორედ მშვიდობასა და თანამშრომლობას ემსახურება, მეორე მხარე მის გამოყენებას სწორედ პოლიტიკური მიზნებისთვის ცდილობს.

სხვა ვერაფრით აიხსნება მაგალითად ის, რომ ოლიმპიური თამაშების ერთ-ერთ მეჩირაღდნედ რუსეთმა შეარჩია „2008 წლის აგვისტოს ომის გმირი მფრინავი“. ცხადია, ყველა სახელმწიფოს სუვერენული უფლებაა, თავად აირჩიოს გმირები, მაგრამ ასევე ცხადია, რომ მეზობელ სახელმწიფოსთან ურთიერთობის მოწესრიგების მსურველი ქვეყანა ასე გამომწვევად არ მოიქცევა,“ - ნათქვამია საქართველოს მთავრობის განცხადებაში.

თუმცა, საქართველოს მთავრობა კვლავ აპირებს, დააკვირდეს სოჭის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო ღონისძიებებს, რათა საბოლოოდ დარწმუნდეს, რომ სპორტული თამაშების ზედმეტი პოლიტიზება და მისი საქართველოს წინააღმდეგ გამოყენება მიზანმიმართულია.

„საქართველოს მთავრობის ყურადღების მიღმა არც ის რჩება, რომ სოჭის ოლიმპიადასა და საოკუპაციო ხაზთან დაკავშირებული პრობლემები განსაკუთრებით მწვავდება საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად.

საქართველოს მთავრობა ამ კუთხით ინტენსიურად მუშაობს საერთაშორისო საზოგადოებასთან - პარტნიორ ქვეყნებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ამავე დროს საქართველოს მთავრობა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგებისთვის არჩეული თანამიმდევრული კურსის ერთგულია.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, ჩვენ დღეიდან განსაკუთრებული ყურადღებით დავაკვირდებით სოჭის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო ღონისძიებებს. თუ საქართველო საბოლოოდ დარწმუნდება, რომ ხდება სპორტული თამაშების ზედმეტი პოლიტიზაცია და მისი მიზანმიმართული გამოყენება საქართველოს წინააღმდეგ, საქართველოს ხელისუფლება ქვეყნისა და მისი მოქალაქეების ღირსებისა და ინტერესების დასაცავად შესაბამის პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს მიიღებს.

იმედს გამოვთქვამთ, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მესვეურები და ოლიმპიადის მონაწილე ქვეყნების მთავრობები სათანადო ყურადღებას დაუთმობენ ასეთ მნიშვნელოვან საკითხებს,“ - აღნიშნულია განცხადებაში.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის დავით ზალკალიანის განცხადებით, მეზობელ სახელმწიფოსთან ურთიერთობების მოწესრიგების მსურველი სახელმწიფო არ უნდა იქცეოდეს ისე გამომწვევად, როგორც რუსეთი იქცევა.

მინისტრის პირველი მოადგილის განცხადებით, ყველასთვის კარგად არის ცნობილი, რომ საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობის გადაწყვეტილება მიიღო.

„ეს, რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის ფონზე, იმთავითვე უკიდურესად რთულად მისაღები გადაწყვეტილება იყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენ გადავდგით ეს ნაბიჯი, ვინაიდან მივიჩნევთ, რომ საქართველოს და რუსეთს შორის ურთიერთობების მოწესრიგება ორივე ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი ამოცანაა,“ - განაცხადა დავით ზალკალიანმა.

მისივე თქმით, რუსეთის მხრიდან საქართველოს კეთილი ნების საპირისპირო სულისკვეთების ტენდენციას აქვს ადგილი.

„ჩვენ გვინდა ოლიმპიური თამაშების დეპოლიტიზაცია და ჯანსაღ სპორტულ შეჯიბრებად დანახვა. მეორე მხარე კი, სამწუხაროდ, ცდილობს მის გამოყენებას სწორედ პოლიტიკური მიზნებისთვის; სხვა ვერაფრით აიხსნება ეს ფაქტი. მეზობელ სახელმწიფოსთან ურთიერთობების მსურველი სახელმწიფო ასეთ ვითარებაში ასე გამომწვევად არ უნდა იქცეოდეს,“ - განაცხადა დავით ზალკალიანმა.

რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრ პაატა ზაქარეიშვილის აზრით, რუსული მხარის გადაწყვეტილება, რომ თამაშების ერთ-ერთი მეჩირაღდნე 2008 წლის აგვისტოს ომის მონაწილე იყოს, ქართული მხარისთვის პოზიციების შეცვლის საფუძველი არ უნდა გახდეს.

„მიუხედავად იმისა, რაც მოხდა, რეგიონული უსაფრთხოებიდან გამომდინარე, საერთაშორისო ურთიერთობებიდან გამომდინარე, პრესტიჟიდან გამომდინარე უნდა მივიღოთ ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა. რუსეთმა უდიდესი ზარალი მიაყენა ქვეყანას, ოკუპაცია განახორციელა, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარება მოახდინა, მიუხედავად ამისა, ჩვენ ვმონაწილეობთ. თუ დავიწყებთ ჩხირკედელაობას, ვის ეჭირება ჩირაღდანი ხელში და ამის გამო დავიწყებთ პოზიციების გადახედვას, მგონი, არასწორი იქნება,“ - განაცხადა ზაქარეიშვილმა.

პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის ხელმძღვანელი თედო ჯაფარიძე კონკრეტულად თამაშებში ქართველების მონაწილეობას დადებითად აფასებს, თუმცა ამ ფაქტის ფართო კონტექსტში განხილვის შემთხვევაში მიუღებლად მიაჩნია ყველაფერი, რაც ჩვენი ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგ არის მიმართული.

„კონკრეტულად ღონისძიებას თუ შევეხებით, მასში ქართველი სპორსტმენების მონაწილეობა კარგი იქნება, მაგრამ უფრო ფართო კონტექსტში უნდა განვიხილოთ. მიმაჩნია, რომ ყველაფერი, რაც კი ჩვენი ინტერესების წინააღმდეგ იქნება - ოლიმპიადის ჩირაღდნის ჩამოტანაში რუსი მფრინავის მონაწილეობა თუ სხვა, ჩვენთვის მიუღებელია. თუმცა, ამაზე საბოლოო გადაწყვეტილებას მთავრობა, ოლიმპიური კომიტეტი და საზოგადოება მიიღებს,“ - განაცხადა თედო ჯაფარიძემ.

სოჭის ოლიმპიური თამაშების ერთ-ერთი მეჩირაღდნედ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის „გმირის“ დასახელებას საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელი რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობის საკითხებში, ზურაბ აბაშიძეც გამოეხმაურა.

„გავეცანით ტელეკომპანია „რასიას“ სიუჟეტს. შევეცდებით, ოპერატიულად მივიღოთ სრული ინფორმაცია და ამის შემდეგ შესაბამისი გადაწყვეტილება იქნება მიღებული,“ - განაცხადა ზურაბ აბაშიძემ.

„ნაციონალურ მოძრაობაში“ ამბობენ, რომ რუსეთი თამაშების მსვლელობის დროს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ე. წ. დამოუკიდებლობის პოპულარიზაციის შანსს ხელიდან არ გაუშვებს.

მეჩირაღდნედ რუსეთ-საქართველოს ომში მონაწილე რუსი მფრინავის დასახელების ფაქტს „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი ნუგზარ წიკლაური რუსეთის მხრიდან პოლიტიკურ თავდასხმად აფასებს, საქართველოს მთავრობას კი ოკუპაციასთან შეგუების პოლიტიკის გაგრძელებაში ადანაშაულებს.

„მიგვაჩნია, რომ რუსეთის ეს ნაბიჯი არის მძიმე პოლიტიკური პროვოკაცია და ცინიკური ჟესტი ომის მსხვერპლთა მიმართ, რაც ცხადყოფს პუტინის სურვილს, სოჭის ოლიმპიური თამაშები გამოყენებულ იქნეს საქართველოს ეროვნული ინტერესებისა და ქართველი ხალხის წინააღმდეგ. ეჭვს არ იწვევს, რომ ეს პოლიტიკური თავდასხმა ზოგადი ტენდენციის ნაწილია და რუსეთი არ გაუშვებს შანს, რათა პოპულარიზაცია გაუწიოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ე. წ. დამოუკიდებლობას თამაშების მსვლელობის დროს.

ამ ფონზე, საქართველოს უუნარო მთავრობა აცხადებს, რომ ჩვენი ქვეყანა არა მხოლოდ მონაწილეობას მიიღებს თამაშებში, არამედ დაეხმარება ოკუპანტ სახელმწიფოს თამაშების უსაფრთხოების უზრუნველყოფაში.

მინისტრი ზაქარეიშვილი, რომლის უწყების მიერ პარლამენტში ინიცირებულია ოკუპაციის კანონში კაპიტულანტური ცვლილებები, ქართული საზოგადოების აღშფოთებას ჩხირკედელაობას უწოდებს. მიგვაჩნია, რომ ამგვარი მიდგომა დათმობის და ოკუპაციასთან შეგუების პოლიტიკის გაგრძელებაა,“ - აცხადებს წიკლაური.

საპარლამენტო უმცირესობა საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტს სოჭის ოლიმპიადაში საქართველოს მონაწილეობის მიზანშეწონილობის საკითხის განხილვისკენ მოუწოდებს.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტს მოუწოდებს, განიხილოს ოლიმპიადაში საქართველოს მონაწილეობის მიზანშეწონილობის საკითხი, რადგან ეს საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ იქნება გამოყენებული. ამასთან, „ნაციონალური მოძრაობა“ მოუწოდებს ქართულ საზოგადოებას, გამოხატოს მტკიცე პროტესტი „მინისტრ ზაქარეიშვილისა და ივანიშვილის მთავრობის, უპასუხისმგებლო ქმედებების და კოლაბორაციონისტული პოლიტიკის მიმართ,“ - განაცხადა წიკლაურმა.

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის განცხადებით, საქართველომ ამ ოლიმპიადაში მონაწილეობა არ უნდა მიიღოს.

„ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ პრემიერ-მინისტრი და მათი საპრეზიდენტო კანდიდატი მზად არიან, ხელი შეაშველონ ოკუპანტს ჩირაღდნის ანთებაში. იმედია, ასე არ მოხდება,“ - განაცხადა პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ანდრო ბარნოვმა და აღნიშნა, რომ სოჭის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობით ჩვენ რუსეთს და მთელ მსოფლიოს ვუდასტურებთ, რომ ოკუპაციას ვეგუებით.

„არ შეიძლება, ამით დავუდასტუროთ არა მხოლოდ რუსეთს, არამედ მთელ მსოფლიოს, რომ ვეგუებით იმ სიტუაციას, რომელიც საქართველოში გვაქვს შექმნილი ანუ ოკუპაციის მდგომარეობას. ეს ყოვლად გამორიცხულია ჩემი, ჩემი გუნდის მხრიდან, ჩვენი თანამოქალაქეების უდიდესი ნაწილის მხრიდან. როგორ ბედავს მთავრობა და ღიად აცხადებს, რომ ჩვენ შეიძლება, ამ მარაზმში, ამ საზიზღრობაში მივიღოთ მონაწილეობა ჩვენი საკუთარი ღირსების, ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის, ნათელ მომავალზე უარის თქმის ხარჯზე. მე, სიმართლე გითხრათ, არ წარმომიდგენია. თუმცა, რაშიც ვარ დარწმუნებული, ძალიან მალე მიიღებს ეს მთავრობა ძალიან საკადრის პასუხს ჩვენივე თანამოქალაქეებისგან, რადგან ხალხი პირდაპირ ხედავს, რას აკეთებს ეს მთავრობა და რა დამღუპველი მტრული პოზიციები უკავია ჩვენივე სახელმწიფოს, ჩვენივე სამშობლოსა და საზოგადოების წინააღმდეგ,“ - განაცხადა ბარნოვმა.

სოჭის ოლიმპიადის მეჩირაღდნედ რუსი მფრინავის ივან ნეჩაევის არჩევას საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილიც გამოეხმაურა. პრეზიდენტის თქმით, ვლადიმირ პუტინი საქართველოს დამცირების არც ერთ შანსს ხელიდან არ გაუშვებს.

პრეზიდენტის განცხადებით, რუსული იმპერიული არასრულფასოვნების კომპლექსიდან გამომდინარე, პუტინი ყველაფერს გააკეთებს, რომ საქართველოს **„თავი ჩააყოფინონ ტალახში.“**

„დარწმუნებული ვარ, ეს ყველაფერი გამიზნულად არის გაკეთებული, ისევე, როგორც გამიზნულად ჩაიყვანენ იქ აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ე.წ. დელეგაციებს. წაიყვანენ ოლიმპიადის სტუმრებს ექსკურსიაზე აფხაზეთში, გამოიყენებენ აფხაზეთის ინფრასტრუქტურას ჩვენი ნებართვის გარეშე,“ - განაცხადა საკაშვილმა.

მისივე თქმით, პუტინი იმაზე მეტს გააკეთებს, **„ვიდრე წარმოგვიდგენია.“**

„ის ამ ოლიმპიადას აფხაზეთის და ცხინვალის იდეის პოპულარიზაციისთვის გამოიყენებს. მოვუწოდებ ყველას, მიიღოს თავისი გადაწყვეტილება. მე არ ვახორციელებ ზეწოლას ოლიმპიურ კომიტეტზე, ეს მათი გადასაწყვეტი უნდა იყოს. მაგრამ ისინი, გარდა იმისა, რომ ოლიმპიურ კომიტეტს წარმოადგენენ, ქართველები არიან და ქართველს სწორი რეაქცია უნდა ჰქონდეს,“ - აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა.

საქართველოს ოლიმპიურმა კომიტეტმა განცხადება გაავრცელა, სადაც მეჩირაღდნეთა რიგებში რუსული ბომბდამშენის მფრინავ ივან ნიჩაევის ჩართვაზეა საუბარი. ოლიმპიური კომიტეტი ნიჩაევის მეჩირაღდნედ დასახელებას გაუგებრობად მიიჩნევს და იმედოვნებს, რომ **„ოლიმპიადამდე დარჩენილ პერიოდში ამგვარი გაუგებრობები არ მოხდება და ჩვენ არ მოგვიწევს 2013 წლის 2 მაისის სესიაზე მიღებული გადაწყვეტილებების გადასინჯვა.“**

განცხადებაში აღნიშნულია, რომ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საგანგებო სესიამ 2013 წლის 2 მაისს სოჭის 2014 წლის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს სპორტსმენების მონაწილეობის შესახებ გადაწყვეტილება, მიუხედავად საზოგადოებაში ამ საკითხის მიმართ არსებული აზრთა სხვადასხვაობისა, ერთსულოვნად მიიღო.

სესიის დელეგატებმა უწინარესად იხელმძღვანელეს ოლიმპიური ქარტიის ფუძემდებლური პრინციპებით, ქართული სპორტის ინტერესებით, იმ ნეგატიური შედეგების გათვალისწინებით, რაც შეიძლებოდა მოჰყოლოდა ოლიმპიადაში ჩვენს მონაწილეობაზე უარის თქმას.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტს არაერთხელ განუცხადებია და ახლაც ადასტურებს, რომ ერთგულად იცავს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წინაშე აღებულ ვალდებულებებს, პატივს სცემს საერთაშორისო ოლიმპიურ მოძრაობაში მიღებულ წესებს, ამასთანავე იმედი აქვს, რომ იგივე სულისკვეთებით იმოქმედებენ ამ პროცესში ჩართული მხარეები, მათ შორის სოჭის 2014 წლის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტი.

ამ რამდენიმე დღის წინ ჩვენთვის ცნობილი გახდა იმის თაობაზე, რომ ტელე-ჟურნალისტების ოლიმპიადაზე აკრედიტაციის ელექტრონულ ბაზაში დამოუკიდებელ საერთაშორისო სუბიექტებად შეიტანეს აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, რაც ეწინააღმდეგება ყველა წესს და კანონს. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტიდან მიღებული ოფიციალური წერილი გვარწმუნებს, რომ ეს დასანანი გაუგებრობა უმოკლეს დროში აღმოიფხვრება.

აქვე გვინდა, ფართო საზოგადოებრიობის ყურადღება მივაპყროთ მედიით გავრცელებულ ინფორმაციას ოლიმპიური ცეცხლის მეჩირაღდნეთა რიგებში 2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის მონაწილის, რუსული ბომბდამშენის მფრინავ ივან ნიჩაევის ჩართვის შესახებ. ძირითადი ოლიმპიური ფასეულობაა საერთაშორისო მშვიდობის დამკვიდრება, „მშვიდობისმოყვარე საზოგადოების ჩამოყალიბება“ (ოლიმპიური ქარტია). რუსული მხარის ამგვარი გადაწყვეტილება, რასაკვირველია, ეწინააღმდეგება ფუნდამენტურ ოლიმპიურ ღირებულებებს და საყოველთაო გულისწყრომას იწვევს.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი იმედოვნებს, რომ ოლიმპიადამდე დარჩენილ პერიოდში ამგვარი გაუგებრობები არ მოხდება და ჩვენ არ მოგვიწევს 2013 წლის 2 მაისის სესიაზე მიღებული გადაწყვეტილებების გადასინჯვა,“ - ნათქვამია განცხადებაში.

საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ლერი ხაბელოვი ოლიმპიური ცეცხლის მეჩირაღდნედ აგვისტოს ომის «გმირი» რუსი მფრინავის დასახელებას თამაშებში მონაწილეობაზე უარის თქმის საფუძვლად არ მიიჩნევს.

„თუ გადაიზრდება კიდევ პოლიტიკურ თამაშში, ვგულისხმობ შემდგომ სვლებს, მაშინ შეიძლება, გადაიხედოს. ახლა ეს არ არის საფუძველი, რომ ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა არ მივიღოთ. დღეს, ვფიქრობ, ამ საკითხის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულია და ამ გადაწყვეტილებას ჯერ ვერ შევცვლით,“ - აღნიშნა საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა.

«როსპოტრებნადზორმა" ლიტვიდან რძის პროდუქციის შეტანა შეაჩერა

«როსპოტრებნადზორის" ხელმძღვანელ გენადი ონიშჩენკოს განცხადებით, მას იმედი აქვს, რომ ლიტვა რძის პროდუქტების აკრძალვის გამო პოლიტიკური განცხადებების გაკეთებას შეწყვეტს და მოლაპარაკების პროცესზე გადავა. «იმედი გვაქვს, რომ მოლაპარაკების პროცესი განახლდება," - განაცხადა ონიშჩენკომ მოსკოვში ორშაბათს გამართულ ბრიფინგზე. ორშაბათს «როსპოტრებნადზორმა" ლიტვიდან რუსეთის ტერიტორიაზე რძის პროდუქციის შეტანა აკრძალა. უწყებამ არაერთი დარღვევის შესახებ განაცხადა. მათი მტკიცებით, პროდუქციის ხარისხი დადგენილ ნორმებს არ შეესაბამება.

ლიტვამ აღნიშნულს უწოდა «ეკონომიკური ომი" იმის გამო, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნების ევროპასთან დაახლოება «ყველას არ სიამოვნებს."

აზერბაიჯანმა სომხეთი ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების დარღვევაში დაადანაშაულა

6 ოქტომბრის ღამეს სომხეთის შეიარაღებულმა ძალებმა, ყარაბაღის კონფლიქტის ზონაში, აზერბაიჯანის პოზიციებს ცეცხლი გაუხსნეს - აღნიშნულის შესახებ აზერბაიჯანის თავდაცვის უწყების განცხადებაშია ნათქვამი. თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ცეცხლი სოფელ აიგეძორში მდებარე პოზიციებიდან გახსნეს. «ტრენდის" ინფორმაციით, სომხეთის თავდაცვის უწყებას აღნიშნულზე კომენტარი ამ დრომდე არ გაუკეთებია.

ირანში დივერსიული აქტი აღკვეთეს

ირანში ოთხი ადამიანი დააკავეს, რომლებიც ქვეყნის ერთ-ერთ ბირთვულ ობიექტზე დივერსიული აქტის მომზადებაში არიან ეჭვმიტანილნი. აღნიშნულის შესახებ ირანის ატომური ენერგიის ხელმძღვანელმა ალი აკბარ სალეჰმა განაცხადა. ამასთან, მას არ დაუსახელებია ის ობიექტი, რომელზეც თავდასხმა იგეგმებოდა. «ცოტა ხნის წინ ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ რამდენიმე ადამიანი ბირთვულ ქარხანაზე დივერსიული აქტის განხორციელებას გეგმავდა, ჩვენ მათ სამუშაოების გაგრძელების საშუალება მივეცით, რათა დამატებით ინფორმაცია მიგვეღო," - აღნიშნა სალეჰმა.

იემენში გაეროს თანამშრომელი დაიკარგა, სცადეს გერმანიის ელჩის გატაცებაც

გაეროს გენერალურ მდივნის ოფიციალური წარმომადგენლის მარტინ ნესირკის ინფორმაციით, იემენში გაეროს თანამშრომელი დაიკარგა. «ამ დრომდე ცნობილია მხოლოდ ის, რომ დაკარგულია ჩვენი ერთი თანამშრომელი. ჩვენ მისი ადგილსამყოფელის დადგენას ვცდილობთ," - განაცხადა ნესირკიმ. მისი თქმით, ასევე უცნობია, ზუსტად როდის და სად დაიკარგა გაეროს წარმომადგენელი. ამასთან, გავრცელდა ინფორმაცია, რომ გაეროს ბავშვთა ფონდის თანამშრომელი იემენის დედაქალაქ სანაში გაიტაცეს. გავრცელებული ინფორმაციით, მის ავტომობილს შეიარაღებული მებრძოლები დაესხნენ თავს.

ასევე, იემენში უცნობები ქვეყანაში გერმანიის ელჩის კაროლ მიულერ-ჰოლკეპმერის გატაცებას შეეცადნენ. ბრიტანული ტელეარხის ინფორმაციით, მოკლულია ელჩის დაცვის წევრი. გერმანიის დიპლომატიური უწყებას გავრცელებული ინფორმაცია ამ დრომდე არ დაუდასტურებია. იემენის ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლის ინფორმაციით, შეირაღებული მებრძოლები ელჩის გატაცებას სანაში მდებარე ერთ-ერთი მაღაზიიდან შეეცდნენ. დიპლომატს თან ახლდა დაცვა. ელჩის შემთხვევის ადგილიდან გაყვანა მოხერხდა. ამ დროისთვის მიმდინარეობს გამოძიება.

პაკისტანში ვაქცინაციის კამპანიის ოთხი მონაწილე მოკლეს

პაკისტანის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, პოლიომელიტის წინააღმდეგ ბრძოლის კამპანიის პირველივე დღეს, საავადმყოფოსთან აფეთქება მოხდა, რასაც, სულ მცირე, ოთხი ადამიანი ემსხვერპლა. წელს პაკისტანში ექიმთა იმ ჯგუფებზე, რომლებიც ვაქცინაციას ატარებენ, შეირაღებული მებრძოლების მიერ მოწყობილ თავდასხმებს ათი ადამიანი ემსხვერპლა. პაკისტანელი შეირაღებული მებრძოლები ბავშვებს პოლიომელიტზე აცრას უკრძალავენ, რითიც ამერიკელების მიერ უპილოტო თვითმფრინავებიდან განხორციელებულ იერიშებს აპროტესტებენ. ამასთან, შიშობენ, რომ ექიმები დაზვერვით სამუშაოებსაც ეწევიან.

2011 წელს პაკისტანში ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ოპერაცია ჩატარდა - მაშინ ჰეპატიტზე ვაქცინაციის ფარგლებში ნომერ პირველი ტერორისტის უსამა ბინ ლადენის ნათესავების დნმ-ის ნიმუშების მიღება გახდა შესაძლებელი. ამის შემდეგ ამერიკელმა სპეცრაზმა ზუსტად მიაკვლია ბინ ლადენის საცხოვრებელ ადგილს აბოტაბადში და მისი ლიკვიდაციაც განახორციელა.

ლიბიამ ამერიკის მიერ «ლიბიის მოქალაქის გატაცება" დაგმო

«ნიუ-იორკ თაიმსის" ცნობით, ლიბიის მთავრობამ კვირას ამერიკის მიერ «ლიბიის მოქალაქის გატაცება" დაგმო. ლიბიელი კანონმდებლების განცხადებით, თუ მომხდარში ქვეყნის პრემიერი მონაწილეობდა, მისი თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხი დადგება. ლიბიის მოქალაქე აბუ-ანას ალ-ლიბის, რომელიც ამერიკამ ჩაიგდო ხელში, 1998 წელს «ალ ქაიდას" მიერ ორგანიზებულ თავდასხმებში მონაწილეობა ბრალდება. 1998 წელს ტერორისტულმა ორგანიზაციამ აღმოსავლეთ აფრიკაში ამერიკის საელჩოებზე მოაწყო თავდასხმები. ქვეყნის მთავრობამ უარყო ამერიკის მხარის მიერ გავრცელებული ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც ალ-ლიბის დაჭერის ოპერაციაში იღებდა მონაწილეობდა. ლიბიელები ამერიკის მიერ ჩატარებულმა რეიდმა გააღიზიანა, რაც ქვეყნის სუვერენიტეტის დარღვევად მიიჩნიეს.

მოამზადა თამთა კახაძემ

ეგვიპტელებს ზეიმი მსხვერპლმა ჩაუშხამა

ივა შილაკაძე

ეგვიპტის რამდენიმე ქალაქში ერთდროულად მიმდინარე შეტაკებების შედეგად კვირას, სულ ცოტა, 51 ადამიანი დაღუპა, აქედან ნახევარი - დედაქალაქ კაიროში. დაჭრილია, დაახლოებით, 240 კაცი. დედაქალაქში პოლიციამ 200-მდე ადამიანი დააკავა, მთელ ეგვიპტეში, შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, დაკავებულია 423 ადამიანი. შეტაკებები ხდებოდა, ძირითადად, სამართალდამცავებსა და აწ უკვე აკრძალული პანარაბული რელიგიურ-პოლიტიკური მოძრაობის «მუსლიმი ძმების" წევრებს შორის. პოლიცია ცდილობდა, შუაში ჩამდგარიყო და ორ ბანაკად გაყოფილ მოსახლეობაში უშუალო შეტაკებები არ დაეშვა, თუმცა ამის თავიდან აცილება ყველგან მაინც ვერ მოხერხდა.

კვირას ეგვიპტე «განკითხვის დღის ომის" დაწყების 40 წლისთავს ზეიმობდა, რომელიც 1973 წლის ოქტომბერში 18 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. ამ დღეს დაამთხვიეს თავისი გამოსვლები «მუსლიმმა ძმებმაც". ხელისუფლებამ წინასწარ გააფრთხილა მოსახლეობაც და ოპონენტებიც, რომ ზეიმის ჩაშლის ნებას არავის მისცემდა. კერძოდ, ასეთი განცხადება გააკეთა შინაგან საქმეთა მინისტრმა. ერს ტელევიზიით მიმართა პრემიერ- მინისტრმა ჰაზემ ბებლავიმაც და «გაერთიანებისა და მომავლისთვის ოპტიმისტურად ცქერისკენ" მოუწოდა.

3 ივლისს, სახალხო საპროტესტო გამოსვლების შემდეგ, არმიამ ერთი წლის წინ არჩეული პრეზიდენტი მოჰამედ მურსი გადააყენა (ის წარმოადგენდა მოძრაობა «მუსლიმ ძმებს" და ეგვიპტეში მის პოლიტიკურ ფრთას»თავისუფლების და სამართლიანობის პარტიას») და ქვეყანაში დროებითი გარდამავალი ხელისუფლება დანიშნა. მას შემდეგ ექს-პრეზიდენტის მომხრეების გამოსვლები მეტ-ნაკლები ინტენსივობით სულ მიმდინარეობს. ამ სამი თვის განმავლობაში შეტაკებებში, სხვადასხვა მონაცემებით, 1000-დან 3000 კაცამდე დაიღუპა. საპასუხოდ ხელისუფლებამ დააპატიმრა «მუსლიმი ძმების", ფაქტობრივად, მთელი ხელმძღვანელობა, აკრძალა მოძრაობა და გაყინა მისი საბანკო ანგარიშები. დაპატიმრებულ ლიდერებს და აქტივისტებს, ექს-პრეზიდენტ მურსის ჩათვლით, წინ ელით სასამართლო - ძირითადად, არეულობებისა და აგრესიის წაქეზების ბრალდებით.

კვირას ხალხი ზეიმზე შეიკრიბა თაჰრირის ცენტრალურ მოედანზე. იქ იყვნენ, ძირითადად, მოქმედი მთავრობის მომხრეები და ნეტრალურად განწყობილები. ტარდებოდა ავიაშოუ ეგვიპტის სამხედრო-საჰაერო ძალების ავიაგამანადგურებლების მონაწილეობით. ექს-პრეზიდენტის მომხრეთა კოლონები პოლიციამ ცენტრალური მოედნისკენ არ გაატარა, რასაც დედაქალაქის სხვადასხვა უბნებში ერთდროულად მოჰყვა შეტაკებები. შეტაკებები, როგორც აღვნიშნეთ, ეგვიპტის სხვა ქალაქებშიც იყო. ქალაქის დასავლეთ ნაწილში, რაიონ «დოკაში" ახალი და ძველი ხელისუფლების მომხრეთა შორის მაინც მოხდა შეტაკება. ამ უბანში ისლამისტებმა დაარბიეს და დაწვეს რამდენიმე ბენზინგასამართი სადგური, აგრეთვე საგზაო პოლიციის შენობა.

პოლიცია აქციის მონაწილეების წინააღმდეგ, ძირითადად, ცრემლსადენ გაზს იყენებდა და შესაშინებლად ჰაერში ისროდა, თუმცა ზოგან მათ ხალხისკენ დამიზნებითაც ისროლეს, რაზეც დაღუპულებისა და დაჭრილების ასეთი რაოდენობა მოწმობს. პოლიციას დემონსტრანტებმაც დაუშინეს ქვები და «მოლოტოვის კოქტეილები". მსხვერპლი და დაჭრილები ორივე მხარეს არის.

ეგვიპტეში საზეიმო ღონისძიებები მაინც არ ჩაშლილა. ავიაშოუს გარდა, კაიროს სტადიონზე კონცერტი გაიმართა, რომლიც ტელევიზიით პირდაპირ ეთერში გადაიცა. ამ კონცერტს დროებითი პრეზიდენტი ადლი მანსური და თავდაცვის მინისტრი აბდელ ფატახ ალ-სისიც ესწრებოდნენ. თავისავად, ცოტა გასაკვირიც არის, რატომ ზეიმობენ არაბები ამ ომის დაწყების თარიღს. «განკითხვის დღის ომი" საბოლოოდ არაბულმა კოალიციამ ისრაელთან მაინც წააგო, თუმცა თავიდან გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს და 1967 წლის ექვსდღიან ომში კატასტროფული დამარცხებით განცდილი სირცხვილი ნაწილობრივ ჩამოირეცხეს.

აშშ-ს კონგრესში ბიუჯეტის დამტკიცებას ხმები ეყოფა?

ივა შილაკაძე

რესპუბლიკელები და დემოკრატები ამერიკის ბიუჯეტის ძირითად პარამეტრებზე კვლავ ვერ თანხმდებიან. ამ საკითხზე მხარეებს შორის ღია კონსულტაციები არც მიმდინარეობს, თუმცა გაირკვა, რომ იძულებით შვებულებაში გაშვებული სახელმწიფო მოხელეები ფინანსურად აღარ დაზარალდებიან. მათ გაცდენილი დღეების ხელფასს მაინც გადაუხდიან მას შემდეგ, რაც ბიუჯეტი, ბოლოს და ბოლოს, დამტკიცდება. ამას გარდა, მოიძებნა იურიდიული საფუძველი თავდაცვის სამინისტროს თანამშრომელი სამოქალაქო პირების სამსახურში დასაბრუნებლად. ისინი კი დროებით დათხოვნილ პირთა მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ.

სულ აშშ-ს ფედერალური ჩინოვნიკების 2,1-მილიონიანი არმიიდან დროებით დაითხოვეს თითქმის მესამედი - დაახლოებით, 800 ათასი კაცი. აქედან, სხვადასხვა მონაცემებით, 350 თუ 400 ათასი ადამიანი, როგორც ირკვევა, თავდაცვის სამინისტროს სტრუქტურებიდან დროებით სახლში გაშვებული სამოქალაქო პირები არიან. იმ საკანონმდებლო აქტში, რომელიც კრიზისულ სიტუაციაში ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სტრუქტურების დაფინანსებას უზრუნველყოფს, თავდაცვის სამინისტროს იურისტებმა იპოვეს მუხლი, რომელიც ამ სამოქალაქო თანამშრომლების დიდი უმრავლესობის, 90 პროცენტზე მეტის სამსახურში დაბრუნების საშუალებას იძლევა. ეს პირები ორშაბათიდან ისევ შეუდგნენ საკუთარი მოვალეობების შესრულებას.

აშშ-ს კონგრესმა შაბათს მიიღო კანონპროექტი, რომელიც იძლევა გარანტიას დროებით დათხოვნილი სახელმწიფო მოსამსახურეებისთვის გაცდენილი დღეების ასანაზღაურებლად მას შემდეგ, რაც ბიუჯეტს საბოლოოდ დაამტკიცებენ. ეს კანონპროექტი ერთხმად მიიღეს, მას ხმა მისცა კენჭისყრაში მონაწილე 407-ვე კონგრესმენმა. ეს დემოკრატების და რესპუბლიკელების ერთსულოვნების იშვიათი ნიმუშია. ახლა გამოდის, რომ ნერვიულობა არავის მოუწევს და ჩინოვნიკები დამატებით შვებულებაში გაუშვიათ, ოღონდ მათ ამ დღეებში არაფერი ჩაერიცხებათ, თუ სწორედ ახლა უწევდათ ხელფასის აღება. პრინციპში, დასავლური მოწესრიგებული საბანკო სისტემის პირობებში ეს უხერხულობას, ფაქტობრივად, არ ქმნის.

ბიუჯეტის საკითხში კი არც ერთი მხარე კომპრომისზე არ მიდის, თან შექმნილ პრობლემაში მხოლოდ ერთმანეთს ადანაშაულებენ. ობამა, მისი პრესსამსახური, აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები და დემოკრატების ფრაქციების წევრები სენატშიც და წარმომადგენელთა პალატაშიც რამდენიმე დღეა, ჯიუტად აცხადებენ, რომ რესპუბლიკელებმა ამერიკის ეკონომიკა მძევლად აიყვანეს, მთავრობა კი საფეთქელზე მიდებული იარაღის პირობებში არამცთუ დათმობაზე არ წავა, მოლაპარაკებებსაც არ გამართავს. რესპუბლიკელების უმრავლესობის ლიდერმა ქვედა პალატაში ერიკ კანტორმა კი, ოდნავ სხვა სიტყვებით, თითქმის იგივე თქვა დემოკრატების შესახებ. მისი აზრით, გამოსავალი შეიძლება, ვერ მოიძებნოს, რადგან ობამა მოლაპარაკებებზე არ თანხმდება - „ეს უაზრობაა, თუ პრეზიდენტს ოპოზიციურ პარტიასთან თავისი ანგარიშები აქვს, რატომ რევს ამაში ამერიკელ ხალხს?" - განაცხადა კანტორმა.

გუშინ კი აშშ-ს ფინანსთა მინისტრმა ჯეიკობ ლიუმ ტელეკომპანია „სი-ბი-ესის" ეთერში განაცხადა, რომ წარმომადგენელთა პალატაში არსებობს სუფთა, პოლიტიკური დატვირთვისგან თავისუფალი ბიუჯეტის დამტკიცების, აგრეთვე სესხის ზედა ზღვრის აწევის რესურსი (იგულისხმება დემოკრატების ვარიანტი, რომელიც სენატს აქვს მიღებული). ამის შესახებ ფინანსთა მინისტრმა პალატის რესპუბლიკელი სპიკერის, ჯონ ბონერის პასუხად განცხადა, რომელიც ამბობს, რომ რესპუბლიკური უმრავლესობა დემოკრატების ვარიანტისთვის ხმის მისაცემად მზად არ არის. ლიუმ ბონერს შესთავაზა, თავისი სიტყვები დაამტკიცოს და კანონპროექტი კენჭისყრაზე დააყენოს.

სირიის „ქიმიური" განიარაღების პროცესი დაიწყო

პირველი გვერდიდან

სექტემბერში სირია ქიმიური იარაღის აკრძალვის საერთაშორისო კონვენციას ოფიციალური განაცხადით შეუერთდა და თავისი არსენალის შესახებ მონაცემები ჰააგაში, ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციის შტაბ-ბინაში გაგზავნა. ჯერ უცნობია, ჩამონათვალში არსებული 19 ობიექტიდან რომელზე დაიწყო სამუშაოები. პირველ რიგში, ანადგურებენ ქიმიური იარაღის წარმოების საშუალებებს, რომელშიც შედის ნაერთის შერევისა და რაკეტებში ჩატვირთვის მოწყობილობები, აგრეთვე საარტილერიო ჭურვებსა და რაკეტების ქობინებს. გეგმით ეს ნოემბრის ბოლომდე უნდა მოესწროს. თან ეს უფრო ადვილი საქმეა, ვიდრე თვით ქიმიური ნივთიერებების განადგურება, რასაც შესაბამისი ქარხანა და ქიმიური დეაქტივაცია სჭირდება. ახლანდელ სამუშაოებს თვითონ სირიელები ასრულებენ საერთაშორისო ექსპერტების მეთვალყურეობით. მოწყობილობები, უბრალოდ, უხეში ფიზიკური ძალით ნადგურდება - მაგალითად, ლითონის ჭრის მექანიკური საშუალებებით ე.წ. «ბალგარკებით» და რაკეტების ქობინებზე მძიმე სატვირთო ავტომობილების გადატარებით. საერთაშორისო ექსპერტები აღიარებენ, რომ ჯერ ამ პროცესში ყველაფერი რიგზეა, მაგრამ მთავარი სირთულე წინ არის. ქიმიური იარაღის საცავების ნაწილი უშუალოდ საბრძოლო მოქმედებების ზონაში მდებარეობს. ასეთ მძიმე პირობებში მუშაობის პრაქტიკა არავის აქვს, მათ შორის არც ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციას. ამიტომ ექსპერტების ნაწილი ჯერ მაინც სკეპტიციზმს გამოხატავს და პროცესის დამთავრებას ელოდება.

ამერიკა და რუსეთი სირიის ქიმიური იარაღის განადგურების პროცესის მსვლელობით კმაყოფილები არიან, რის შესახებაც ამ ქვეყნების საგარეო უწყებათა ხელმძღვანელებმა კუნძულ ბალიზე, აზია წყნარი ოკეანის სამიტის ფარგლებში შეხვდრის შემდეგ განაცხადეს. «ძალიან მნიშვნელოვნად მიმაჩნია, რომ უკვე კვირას სირიის ქიმიური იარაღის განადგურება დაიწყო," - განაცხადა ამერიკის სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერრიმ. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა აღნიშნა, რომ სირია «სრულყოფილად" თანამშრომლობს ქიმიური იარაღის განადგურების საერთაშორისო ექსპერტებთან. ლავროვი ვარაუდობს, რომ ეს შემდგომშიც ასე გაგრძელდება.

გუშინვე კერრიმ და ლავროვმა სირიის შესახებ საერთაშორისო კონფერენციის გამართვის მორიგი სავარაუდო პერიოდი შეათანხმეს. კონფერენცია ნოემბრის შუა რიცხვებისთვის დაიგეგმა. «ჟენევა 2»-ის გამართვის შესახებ პრინციპულ შეთანხმებას აშშ-მ და რუსეთმა ჯერ კიდევ მაისში მიაღწიეს და ივნისისთვის დაგეგმეს, მაგრამ ბევრი მიზეზის გამო რამდენჯერმე გადაიდო და ჩაშლამდეც მივიდა. დღესაც, ნოემბრამდე ბევრი სამუშაოა დარჩენილი. შესათანხმებელია მასში მონაწილე სახელმწიფოების და საერთაშორისო ორგანიზაციების (ეს უკანასკნელი უფრო ადვილია) ჩამონათვალი. საჭიროა ზეწოლა კონფლიქტის მხარეებზე, პირველ რიგში, აქ ამბოხებულები იგულისხმებიან, რომ ისინი შეხვედრაზე დაითანხმონ. ოპოზიციას ერთიანობის პრობლემაც აქვს.

გუშინ სირიის თემას თურქეთის პრემიერი რეჯეპ ტაიპ ერდოღანიც გამოეხმაურა. მისი სიტყვებით, «ადრე თუ გვიან სირიის პრეზიდენტი ბაშარ ალ-ასადი თანამდებობას დატოვებს. მისი თქმით, სირიაში არსებული ჰუმანიტარული კრიზისის მიუხედავად, თურქეთში არსებობენ ძალები, რომლებიც ასადის რეჟიმს უჭერენ მხარს.

სირიაში დაპირისპირება 2011 წლის მარტში დაიწყო, რასაც, გაეროს მონაცემებით, 110 000-ზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა.

რუსული კინოს სამი დღე

2015 წელს თბილისში კინოფესტივალ «ოქროს რაინდის» გამართვა იგეგმება

სოფიო ნემსაძე

სამიოდე თვის წინ «24 საათი» ხაბაროვსკში გამართულ კინოფესტივალ «ოქროს რაინდის» შესახებ წერდა. სწორედ მაშინ დავაანონსეთ, რომ ფესტივალი, რომელსაც ყოველ წელიწადს სხვა და სხვა ქალაქი (ძირითადად რუსეთის) მასპინძლობს, 2015 წელს, შესაძლოა, თბილისში გაიმართოს. ეს პროექტი ჯერ კიდევ ჩანაფიქრის დონეზეა, თუმცა «ოქროს რაინდი» თბილისს მაინც ესტუმრა - მისი შემცირებული ვერსია რამდენიმე დღის წინ გაიმართა, რომლის სტუმრებიც რუსული კინოსა და სცენის ვარსკვლავებიც იყვნენ, ფესტივალზე წარმოდგენილი აფიშა კი მთლიანად რუსული ფილმებისგან შედგებოდა.

სამი დღის განმავლობაში მაყურებელმა 9 ფილმი ნახა. მათ შორის როგორც ძველი, ისე შედარებით ახლებიც: ნიკოლაი ბურლიაევის «ლერმონტოვი», ნატალია ბონდარჩუკის «გოგოლი. უახლესი», პაველ ლუნგინის «დირიჟორი», ნიკიტა მიხალკოვის «მზით გათანგულნი 2», ანდრეი ტარკოვსკის «ანდრეი რუბლოვი», პიოტრ ტოდოროვსკის «სამხედრო-საველე რომანი», ანდრეი პროშკინის «ურდო», ბორის ლიზნიოვის «საყეები მდინარეზე» და ვალერი ტიმოშენკოს «რუსული ნაკრძალი». ფილმების გარდა «ოქროს რაინდმა» თბილისში საპატიო სტუმრებიც ჩამოიყვანა: მარია შუქშინა, მარია ბურლიაევა, სერგეი ბეზრუკოვი და ფესტივალის დამაარსებელი და პრეზიდენტი ნიკოლაი ბურლიაევი.

ეს უკანასკნელი მხოლოდ საკუთარი ფილმის წარმოსადგენად ან ფესტივალის საპატიო სტუმრის სტატუსის გასამაგრებლად არ ჩამოსულა - ბურლიაევმა ბიოგრაფული სამტომეულის პრეზენტაციაც გამართა, რომელმაც მისი შემოქმედებითი საღამოს ფონზე ჩაიარა. სამტომეული დღიურების სახითაა დაწერილი და კინემატოგრაფისტის ცხოვრებისა და შემოქმედებითი მოღვაწეობის ყველა მნიშვნელოვან ეტაპს აერთიანებს. თხრობას კი, ცხადია, საკუთარი ბავშვობით იწყებს,

როდესაც ანდრეი ტარკოვსკიმ უამრავ მოზარდში ამოარჩია და «ივანეს ბავშვობაში» დრამატული როლის განსახიერება დაავალა. იხსენებს ტარკოვსკისთან მეორე თანამშრომლობასაც «ანდრეი რუბლოვში», ხოლო ზარის ჩამოსხმის სცენის გადაღების გახსენებისას წერს, რომ ცხოვრებაში სულ სამი ზარი აქვს ჩამოსხმული: როდესაც ტარკოვსკიმ პირველად ათამაშა, როდესაც მხატვრული ფილმი «ლერმონტოვი» გადაიღო და როდესაც ფესტივალი «ოქროს რაინდი» დააარსა. რეჟისორმა «ლერმონტოვის» გადაღებაზე საუბრისას ალექსანდრე ჭავჭავაძის წინანდლის სახლ-მუზეუმში მუშაობის პერიოდიც გაიხსენა, რასაც საქართველოსა და ქართველებისადმი ტრადიციული სიყვარულის ახსნა მოჰყვა.

რაც შეეხება თავად ფესტივალს, როგორც «ოქროს რაინდის» წარმომადგენელი საქართველოში და აქაური ფესტივალების ორგანიზატორი დალი ოქროპირიძე ამბობს, დაინტერესება ტრადიციულად დიდი იყო, რადგან რუსული ფილმების დიდ ეკრანზე ნახვის საშუალება ჩვენს მაყურებელს იშვიათად ეძლევა.

დალი ოქროპირიძე: «ამ ფესტივალის გამართვას 2007 წლიდან ველოდით, თუმცა სხვა და სხვა მიზეზების გამო ვერ მოვახერხეთ. წელს კი ბიზნესმენ თეიმურაზ შელეგიას ხელშეწყობით ფილმების ჩამოტანაც შევძელით და სტუმრების მოწვევაც (მასთან ერთად მადლობას ვუხდი «თბილისი მარიოტს», «აირზენას», კინოთეატრ «ამირანს», ასევე მაია გილაშვილსა და თამაზ ანდღულაძეს). ეს იყო ძალიან თბილი შეხვედრების სამი დღე, რომელსაც ჩვენი სტუმრები დიდი ხნის განმავლობაში ელოდნენ. აქ ჩამოსასვლელად ყველა მათგანმა საკუთარი გეგმები გადააწყო, რისთვისაც მადლობას ვუხდი. ყველაზე დიდი ინტერესი კი, ცხადია, სერგეი ბეზრუკოვის მიმართ იყო, რომელიც ამჟამად რუსეთში ერთ-ერთ ყველაზე დიდ ვარსკვლავად მიიჩნევა. ის ძალიან თავმდაბალი და ღირსეული ადამიანი აღმოჩნდა, რომელსაც კარგად აქვს გაცნობიერებული, რა პროფესიას წარმოადგენს, რაც ადამიანებთან ურთიერთობისას საუკეთესოდ გამოჩნდა. იმავეს ვიტყოდი დანარჩენი სტუმრების მიმართაც. წასვლამდე მარია ბურლიაევამ მითხრა, აქ ჩამოსვლამდე თქვენს ქვეყანაზე სულ სხვა წარმოდგენა მქონდა და სრულიად სხვა განწყობით მივიდვარო. მიუხედავად იმისა თუ როგორი პოლიტიკური ვითარებაა საქართველოსა და რუსეთს შორის, ეს ხელოვნებას საზღვრებს არ უქმნის. რუსული კინოს ფესტივალები აქ ბოლო წლებშიც ტარდებოდა და ჩვენს ფილმებსაც ვაჩვენებდით რუსეთის ქალაქებში. ანუ დაინტერესება ნებისმიერ შემთხვევაში არსებობს, რადგან თავად ხელოვნებას არ გააჩნია საზღვრები. საინტერესოა, რომ დარბაზში ახალგაზრდა მაყურებელი სჭარბობდა, რომელსაც აინტერესებს, თუ როგორი კინო აქვს მეზობელ ქვეყანას, რას წარმოადგენს რუსული კინო, რომელიც მსოფლიო კინემატოგრაფის ნაწილია».

აქვე შეგახსენებთ, რომ მაისში ხაბაროვსკში გამართული «ოქროს რაინდის» პროგრამაში სამი ქართული ფილმიც იყო ჩართული: მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმების კონკურსში ლევან კიტიას «სიცოცხლის საფასური» და ზაზა ნანობაშვილის «სიყვარული ბოროტებას ამარცხებს» მონაწილეობდა, ხოლო ანიმაციური ფილმების კონკურსში მალხაზ კუხიანიძის «თეთრი ყვავილი და თეთრი პეპელა». გამარჯვება ვერც ერთმა ვერ მოიპოვა, თუმცა ერთი პრიზი ქართველ კინემატოგრაფისტს მაინც გადასცეს - ფესტივალის საპატიო ჯილდოს მფლობელი ელდარ შენგელაია გახდა.

ტარანტინოს რჩეულები

პირველი გვერდიდან

ლინკლეიტერის «მზის ამოსვლამდე» და «მზის ჩასვლამდე» (მთავარ როლებში ეტან ჰოუკი და ჟული დელპი) ალბათ ყველას გინახავთ, ბევრს გიყვართ კიდეც, ამიტომ დაგამშვიდებთ, რომ მესამე ფილმი ძალიან კარგია, ტრილოგიის შესანიშნავი დაგვირგვინებაა, ამრიგად სულაც არაა გასაკვირი, რომ მისით ტარანტინოც კი მოიხიბლა.

სიაში მოხვდა ვუდი ალენის ბოლო ფილმი «ლურჯი ჟასმინიც». ეს ფილმი ჩვენს გაქირავებაში უკვე გამოსულია და გირჩევთ, არ გამოტოვოთ, რადგან მას რეჟისორის უკანასკნელ ფილმებს შორის საუკეთესოდ მოიხსენიებენ. ნაზი «ჟასმინის» შემდეგ ტარანტინო ჯეიმს ვენის «წყევლას» (The Conjuring) ასახელებს. მართალია, ამ ფილმს საკმაოდ მაღალი რეიტინგი აქვს და კრიტიკოსების კარგი შეფასებაც მიიღო, ფაქტია, რომ არც ისე საშიში და საინტერესოა, როგორც იგივე კრიტიკოსები გვპირდებოდნენ, ამრიგად ტარანტინოს სიმპატიაც გასაკვირი ხდება.

სიაში კიდევ ერთი დაბალბიუჯეტიანი ფილმი, ჯო შვანბერგის «ჭიქის მეგობრები» (Drinking Buddies) მოხვდა. ეს ფილმი ნამდვილად კარგია - მშვიდი, უპრეტენზიო, არაბანალური ფინალითა და მშვენიერი ოლივია უაილდით. ასევე დამოუკიდებელ ფილმებს განეკუთვნება ნოა ბაუბახის «ფრენსის ჰა» (Frances Ha), რომელსაც ალფონსო კუარონის დიდებული «გრავიტაცია» მოჰყვება. ამის შემდეგ ტარანტინო გაქირავებაში ჩავარდნილ და ისედაც ძალიან ცუდ ორ ფილმს ასახელებს: გორ ვერბინსკის «მარტოხელა რეინჯერსა» და Kick Ass 2-ს, რაც ნამდვილად არ ეპატიება. თუ ვერბინსკის ნამშევარი წლის ერთ-ერთი საუკეთესოა, მაშინ ამავე წარმატებით სიაში ემ ნაით შამალანის «დედამიწის შემდეგის» შეყვანაც შეიძლებოდა...

სიის ბოლო პოზიციაზე განთავსებული ფილმი კი ნამდვილად აბრუნებს ტარანტინოსადმი ნდობას - ათეულში სეტ როგენისა და ევან გოლდბერგის «ეს დასასრულია» მოხვდა - უკანასკნელი წლების ალბათ საუკეთესო კომედია სრულიად არანორმალური პერსონაჟებითა და სიუჟეტური განვითარებით.

ვანო მერაბიშვილი: „ვერც ნაცვლიშვილს, ვერც ლევან პირველს, ვერც კახა თარგამაძეს თავზე ვერ დაგვასვამთ„

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ვანო მერაბიშვილისა და ზურაბ ჭიაბერაშვილის სასამართლო პროცესზე მოსამართლე შეიცვალა. საქმეს, მოსამართლე თეიმურაზ დგვარელის ნაცვლად, მოსამართლე ნათია ბარბაქაძე განიხილავს.

გუშინდელ სასამართლო პროცესზე დაცვის მხარის მიერ წარდგენილი ოთხი შუამდგომლობიდან მოსამართლემ ორი დააკმაყოფილა. დაცვის მხარე გუშინ მერაბიშვილის პატიმრობიდან გათავისუფლებას შუამდგომლობით ითხოვდა, თუმცა მოსამართლის გადაწყვეტილებით, ყოფილი პრემიერი კვლავ პატიმრობაში რჩება.

პირველი შუამდგომლობა პროკურორების აცილებას ეხებოდა. მოსამართლემ აღნიშნული შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა.

მეორე შუამდგომლობით კი დავის მხარემ აღკვეთის ღონისძიების შეცვლა ან გაუქმება მოითხოვა. შეცვლის შემთხვევაში დაცვამ 6000 ლარის ოდენობის გირაო მოითხოვა, რასაც ვანო მერაბიშვილი არ დეთანხმა.

„შეურაცხმყოფელია 6000 ლარის გირაოთი გარეთ გამოსვლა,“ - განახცადა მერაბიშვილმა.

მოსამართლემ არც აღნიშნული შუამდგომლობა დააკმაყოფილა.

დავაყენეთ რამდენიმე შუამდგომლობა, ერთ-ერთი იყო დამატებითი მტკიცებულება დოკუმენტების დართვის შესახებ, რომელიც დაკმაყოფილდა. ასევე იყო შუამდგომლობა კონკრეტული მოწმეების დაკითხვის ნაწილობრივ დახურვის შესახებ, რომელიც დაკმაყოფილდა. ჩემს კოლეგას ჰქონდა რამდენიმე შუამდგომლობა, ერთ-ერთი აღკვეთის ღონისძიების გაუქმებას ეხებოდა, ხოლო მეორე - პროკურორების აცილებას, აღნიშნული ორი შუამდგომლობიდან მოსამართლემ არც ერთი არ დააკმაყოფილა.

შესაბამისად, ივანე მერაბიშვილი კვლავ პატიმრობაში დატოვეს, მიგვაჩნია, რომ ის პატიმრობაში კვლავ უსაფუძვლოდ რჩება,“ - განაცხადა მერაბიშვილის ადვოკატმა გიორგი ჩივიაშვილმა.

„ჩვენ აგრეთვე მოვითხოვეთ, რომ 3969 მოწმის დაკითხვასთან დაკავშირებით, სასამართლოს პროკურატურისთვის დაევალებინა, რომ ჩვენთვის წინასწარ ყოფილიყო ცნობილი გონივრული რაოდენობა მოწმეებისა, რომლებიც შემდგომ სხდომებზე დაიკითხებიან. სასამართლომ არც ეს შუამდგომლობა არ გაითვალისწინა. 3969 მოწმის გამოძახება უკვე პროკურატურის ხელშია. მათ შეუძლიათ, ეს საქმე დაუსრულებლად გააჭიანურონ,“ - განაცხადა ვანო მერაბიშვილის ადვოკატმა ოთო კახიძემ.

პროკურორრ ნათია სონღულაშვილის განცხადებით, დაცვის მხარეს არ წარმოუდგენია ისეთი არსებითი გარემოება, რაც სასამართლოს საფუძველს მისცემდა, უკვე არაერთხელ დაყენებული შუამდგომლობები განეხილა და დაეკმაყოფილებინა.

„მომდევნო პროცესებზე დაიწყება ბრალდების მხარის მიერ წამოყენებული მტკიცებულებების გამოკვლევა, რაშიც მოწმეთა დაკითხვაც მოიაზრება,“ - განაცხადა პროკურორმა.

გუშინდელ სასამართლო პროცესზე ვანო მერაბიშვილი სიტყვით გამოვიდა და ქვეყანაში მიმდინარე პროცესებსა და პოლიტიკური ოპონენტების დევნაზე ისაუბრა. მერაბიშვილის განცხადებას დარბაზში ტაში მოჰყვა.

„ყველა ჩვენი პოლიტიკური ოპონენტი, ვინც კი არსებობდა, საქართველოში მოიწვიეს და მე ახლა სიმბოლურად ჩემ წინააღმდეგ ვხედავ არა ახალგაზრდა პროკურორებს, არამედ ვხედავ, რომ ისინი ლაშა ნაცვლიშვილს, კახა თარგამაძესა და ლევან პირველს წარმოდგენენ. ასაკიანი პროკურორი შეგვიძლია, წარმოვიდგინოთ, როგორც შევარდნაძე,“ - განაცხადა მერაბიშვილმა.

„ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივანი აცხადებს, რომ საკუთარი აზრის გამოთქმის არც ერთ საშუალებას ხელიდან არ გაუშვებს.

„მე არ გავუშვებ არც ერთ საშუალებას, რათა ჩემი აზრი საქართველოს მოვახსენო და თქვენი და თქვენი უფროსების მცდელობით, რომ არ მოგვეცეს ვიდეო და ფოტოგადაღების საშუალება, ჩაგვიჭრან მიკროფონი, არ მომცეთ საშუალება, ღიად გამოვთქვა ჩემი აზრი, საქართველოში თავისუფალ ტრიბუნას ვერ ჩაკლავთ და ვერც ნაცვლიშვილს, ვერც ლევან პირველს, ვერც კახა თარგამაძეს თავზე ვერ დაგვასვამთ. ისინი ჩვენი ისტორიის დინოზავრები არიან და ვერასდროს დაბრუნდებიან,“ - განაცხადა მერაბიშვილმა.

მოსამართლე ნათია ბარბაქაძემ მერაბიშვილს სასამართლოს პატივისცემისკენ მოუწოდა.

გუშინდელ პროცესზე სასამართლოს წინაშე სიტყვით წარდგა ზურაბ ჭიაბერაშვილიც.

„პატივცემულო მოსამართლე, გუშინ მთელმა საქართველომ ნახა, რომ რუსეთის პრეზიდენტმა, საქართველოს მტერმა ვლადიმირ პუტინმა ოლიმპიური ჩირაღდნის ანთება ანდო რუს ოფიცერს, რომელიც 2008 წლის ომში საქართველოს ბომბავდა და ქართველებს ხოცავდა.

მაგრამ გუშინვე იყო ერთი დეტალი: ეს ჩირაღდანი გუშინ შუა გზაში ჩაუქრათ.

მინდა, მივმართო მათ, ვინც იმ პოლიტიკურ ფარსს აწყობს, რასაც ვანო მერაბიშვილისა და ჩემი სასამართლო პროცესი ჰქვია:

- ფრთხილად იყავით, მეგობრებო, „პუტინის ჩირაღდანი“ თქვენც შუა გზაზე არ ჩაგიქრთ,“ - განაცხადა ჭიაბერაშვილმა.

ვანო მერაბიშვილის და ზურაბ ჭიაბერაშვილის საქმეზე მომდევნო პროცესი 17 ოქტომბერს გაიმართება. საქმის არსებითი განხილვა ქუთაისის საქალაქო სასამართლოში 12:00 საათზე ჩაინიშნა.

ბაჩო ახალაიას პროცესი 17 ოქტომბრამდე გადაიდო

გუშინ ე.წ. ციხის ბუნტის საქმეზე ბაჩო ახალაიას დასკვნითი სასამართლო პროცესი უნდა გამართულიყო, თუმცა პროცესზე პროკურორმა ია დარჯანიამ საკუთარი აცილების შუამდგომლობა დააყენა. როგორც პროკურორმა აღნიშნა, მას დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღების საშუალება არ გააჩნია, რის გამოც იშუამდგომლა, რომ ჩანაცვლდეს სხვა პროკურორით, კერძოდ - ლევან ადეიშვილით. ია დარჯანია პროცესზე გუშინ სწორედ ლევან ადეიშვილთან ერთად გამოცხადდა.

რაც შეეხება არგუმენტებს, რის გამოც დარჯანიამ აცილება ითხოვა, ეს არის მის კავშირები დაცვის მხარესთან.

პროკურორმა განაცხადა, რომ თავადაც და ბაჩო ახალაიას ცოლი ანი ნადარეიშვილიც აფხაზეთიდან არიან და საერთო ნაცნობები მასზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახდენენ.

„ჩემზე ხდება ფსიქოლოგიური ზეწოლა როგორც პირადად, ასევე სოციალური ქსელების მეშვეობით. ამასთან, ჩემი მეგობარია ახალაიას ადვოკატი გოგა ონიანი. სოციალურ ქსელებში ამ საკითხს, ასევე ფოტოს, რომელზეც მეორე ადვოკატ რომეო საჯაიასთან ერთად ვარ, გარკვეული დისკუსიები მოჰყვა. ამ ყველაფერთან ერთად, ვამბობ, რომ ობიექტური გადაწყვეტილების მიღება გამიჭირდება და საკუთარი თავის აცილებას ვითხოვ,“ - განაცხადა პროკურორმა.

ბაჩო ახალაიას ადვოკატებმა პროკურორის განცხადება გააპროტესტეს.

როგორც ახალაიას ადვოკატმა გოგა ონიანმა პროცესზე განაცხადა, პროკურორის შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან პროკურორის არგუმენტები არამყარია და მისი ქმედება ბაჩო ახალაიას სასამართლო პროცესის შეგნებულ გაჭიანურებას ემსახურება.

გოგა ონიანის თქმით, დარჯანიასთან მას მეგობრული ურთიერთობა არასდროს ჰქონია და მხოლოდ სამსახურებრივი ურთიერთობით შემოიფარგლებოდა.

ადვოკატ რომეო საჯაიას განცხადებით კი, ის, რომ მასთან დარჯანიას ფოტო აქვს გადაღებული, რაიმე სახის ურთიერთობას არ ნიშნავს. **„ასე ყველა პროკურორთან მაქვს ფოტო გადაღებული,“** - აღნიშნა რომეო საჯაიამ.

პროკურორის შაუმდგომლობის შეფასების საშუალება ბაჩო ახალაიასაც მიეცა. ყოფილი შს და თავდაცვის მინისტრის თქმით, არც ერთი ჭკუათმყოფელი ადამიანი არ დაიჯერებს, რომ პროკურატურის ქმედებები სასამართლო პროცესების გაჭიანურებას არ ემსახურება.

მოსამართლე ლაშა ჩხიკვაძის განმარტებით, როდესაც პროკურორი ეჭვობს, რომ დამოუკიდებელ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებს, იგი საქმიდან აცილებული უნდა იქნეს. შესაბამისად, მოსამართლემ პროკურორის შუამდგომლობა დაკმაყოფილა და ე.წ. ციხის ბუნტის საქმეზე შემდეგი პროცესიდან ახალი პროკურორი ლევან ადეიშვილი იმუშავებს. ახალ პროკურორს მოსამართლემ საქმის გასაცნობად ათდღიანი ვადა მისცა.

უნდა აღინიშნოს, რომ ლევან ადეიშვილი აღნიშნულ საქმეზე უკვე მესამე პროკურორია.

სხდომის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებთან საუბრისას ლევან ადეიშვილმა პირობა დადო, რომ ახალაიას ე.წ. ციხის ბუნტის საქმე ბოლომდე მივა.

მისი თქმით, საქმის შესასწავლად მოსამართლეს 15-დღიანი ვადა სთხოვა, თუმცა სამართლომ მას 10-დღიანი ვადა მისცა, შესაბამისად, ადეიშვილი ათი დღის შემდეგ დასკვნითი სიტყვით წარდგება.

„დღეს პროცესამდე შევიტყვე, რომ ქალბატონ იას აცილება ჰქონდა და სწორედ მე გამოვთქვი სურვილი, პროცესზე წამოვსულიყავი, რათა არ გაჭიანურებულიყო. ბუნებრივია, აქ რომ არ ვყოფილიყავი, პროცესი გადაიდებოდა, შემდეგ სხდომაზე მე კიდევ უნდა მომეთხოვა ვადა საქმის შესასწავლად,“ - განაცხადა ადეიშვილმა.

ამასთან, პროკურორი არ იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ პროკურორების ცვლილება საქმის ხელოვნურად გაჭიანურებას ისახავს მიზნად.

„არავინ არის დაზღვეული ავადმყოფობისგან. მე თენგიზ გუნავას პროცესებიდან გახსოვართ, სადაც ბრალმდებელი გახლდით. ეს საქმე ბოლომდე იქნა მიყვანილი და პირობას გაძლევთ, რომ ამ შემთხვევაშიც ასე იქნება,“ - აღნიშნა ადეიშვილმა.

თავდაცვის და შს ყოფილი მინისტრის ბაჩო ახალაიას ადვოკატმა დავით დეკანოიძემ გუშინდელ პროცესზე განვითარებულ მოვლენებს პროკურატურის ხუმრობა უწოდა.

„პროკურატურა ხუმრობს, მოკლედ ასე ჰქვია ამ ყველაფერს. მას სერიოზული მიდგომა არ აქვს. ასეთი რამ ადვოკატს რომ გაეკეთებინა, მას ისე დააჯარიმებდნენ, რომ ამ ჯარიმას ვერ გადაიხდიდა. სასამართლო კი პროკურატურის მიმართ, რატომღაც, ძალიან შემწყნარებელია და მის ამდენ ტყუილს ისმენს,“ - განაცხადა დავით დეკანოიძემ.

ცნობისათვის - აღნიშნულ საქმეზე 30 სექტემბერს ჩანიშნული პროცესი პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე გადაიდო. ეს გადაწყვეტილება 30 სექტემბრის პროცესზე ბაჩო ახალაიამ გააპროტესტა და განაცხადა, რომ მისი საქმის პროცესზე ყველაფერი პირიქით ხდება - პროკურატურა გარბის პროცესებიდან. ე.წ. ციხის ბუნტის საქმეზე ბრალდების მხარეს პროკურორი რეზო ნადოი წარმოადგენდა. დასკვნით პროცესზე კი, ნადოის ავადმყოფობის მოტივით, პროკურორი შეიცვალა და პროკურორმა ია დარჯანიამ საქმის მასალების გაცნობის მიზნით სასამართლოს გადადება მოითხოვა. 30 სექტემბრის პროცესზე პროკურორმა კიდევ ერთხელ მოითხოვა იმავე მოტივით პროცესის გადანიშვნა 20 დღის ვადით, თუმცა მოსამართლემ მას მხოლოდ ერთკვირიანი დრო მისცა და სასამართლო გუშინ, 14:00 საათზე ჩანიშნა.

პროცესის 20 დღით გადადების შესახებ პროკურორის შუამდგომლობა წინა პროცესზე ახალაიამ გააპროტესტა.

„ვერავინ დამაჯერებს, რომ პროცესების გადადებას სამართლებრივი მოტივი აქვს. ჯერ იყო და პროკურორი არ გამოცხადდა, შემდეგ ახალმა პროკურორმა 30-დღიანი ვადა ითხოვა საქმის გასაცნობად, ახლა კი სრული სერიოზულობით საუბრობს, რომ ეს მისი გადაწყვეტილებაა და არა - პოლიტიკური გადაწყვეტილება. ამას ვერ დავიჯერებ. საერთოდ, ბრალდებულები ემალებიან ხოლმე გამოძიებას და არ თანამშრომლობენ, ამ შემთხვევაში კი ყველაფერი პირიქით ხდება, ბრალდებულებს პროკურორები გაგვირბიან. კიდევ მივცემთ ვადას და კიდევ მოითხოვენ, თუ მზად არ არიან, უნდა დაანებონ თავი პროკურორობას,“ - განაცხადა ახალაიამ.

ბაჩო ახალაიას ბრალი ედება სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, რაც სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას გულისხმობს.

საქმე ეხება 2006 წლის 26-27 მარტს სასჯელაღსრულების პირველ, მეხუთე და მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში მომხდარ ე.წ. ციხის ბუნტს.

საქმეზე, ახალაიასთან ერთად, ბრალდებულები არიან რევაზ ჭარბაძე, მეგის ქარდავა და დავით ჭაკუა.

მომდევნო სხდომა 17 ოქტომბერს, 12:00 საათზე გაიმართება.

თბილისში Skoda-ს ახალი ცენტრი გაიხსნა

თბილისში, აღმაშენებლის ხეივნის მე-15 კილომეტრზე, ავტომობილების მწარმოებელი ჩეხური ბრენდის - შკოდას ახალი ცენტრი გაიხსნა.

შკოდას ახალი ცენტრის გახსნას დაესწრნენ სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურების, ბიზნეს სექტორისა და შოუ ბიზნესის წარმომადგენლები, დიპლომატები და მედია. ასევე, ჩეხეთის ელჩი ივან იესტრჟაბი და საქართველოში ყველაზე დიდი საავტომობილო ჰოლდინგის - იბერია ბიზნეს ჯგუფის პრეზიდენტი ტარიელ ხეჩიკაშვილი.

გახსნის ცერემონიალზე წარმოდგენილი იყო შკოდას სრულიად ახალი მოდელი- Rapid-ი, რომლის წარმოებაც კომპანიამ 2013 წლის თებერვალში დაიწყო. აღნიშნული მოდელი უკვე კარგად ცნობილი მოდელების Octavia -სა და Fabia-ს კლასებს შორისაა. Skoda Rapid-ი სხვა მოდელებთან შედარებით უფრო ეკონომიურია, ის მეტად კომფორტული და დახვეწილი დიზაინით გამოირჩევა. ამასთან, ახალი მოდელის ფასი $16 350-დან იწყება.

როგორც შკოდას ოფიციალურ წარმომადგენლობაში - იბერია ბიზნეს ჯგუფის მენეჯმენტში აცხადებენ, საქართველოში ბრენდის მიმართ ინტერესი ბოლო პერიოდში ძალიან გაიზარდა. შკოდას ცენტრის ადგილმდებარეობის შეცვლა და გაფართოების ძირითადი მიზეზი, ბრენდის ავტომობილებზე გაზრდილი მოთხოვნაა, რომელმაც დიდი ცენტრის აუცილებლობა შექმნა. შკოდამ დაამტკიცა, რომ შესაძლებელია ხარისხიანი ახალი ავტომობილის შეძენა საკმაოდ დაბალ ფასად," - აცხადებს იბერია ბიზნეს ჯგუფის აღმასრულებელი დირექტორი დავით გოგორიშვილი.

საღამოზე ასევე მოეწყო მსუბუქი ავტომობილის - განახლებული Superb-ის პრეზენტაცია, რომელიც წარმომადგენლობითი კლასის სედანია, აღჭურვილია TSI ძრავით, და გამოირჩევა თავისი სიმძლავრით და ეკონომიურობით.

საზეიმო გახსნაზე კომპანიამ ორი საგზური გაათამაშა, - 2 კაციანი მოგზაურობა პრაღაში და 2 კაციანი საგზური შატო მერე"-ში.

შკოდას ცენტრში წარმოდგენილი ავტომობილების შეძენის გარდა, მომხმარებელი სასურველი კომპლექტაციის ავტომობილის შეკვეთასაც შეძლებს. მიგვაჩნია, რომ Skoda-ს ახალი ცენტრი, მომხმარებლისთვის მეტად კომფორტული და მოსახერხებელი იქნება, ტერიტორიაზე ფუნქციონირებს ავტოსერვისი, რაც გულისხმობს ავტომობილის დიაგნოსტიკას და შეკეთებას. ასევე შესაძლებელი იქნება ორიგინალი სათადარიგო ნაწილების შეძენა"- განაცხადა Skoda-ს ცენტრის დირექტორმა დავით ჯოხაძემ.

იბერია ბიზნეს ჯგუფი შკოდას ოფიციალური წარმომადგენელია. ჩეხური ბრენდი საქართველოში 2004 წლიდან ფუნქციონირებს და მომხმარებელს ყველაზე გაყიდვადი მოდელების ფართო არჩევანს სთავაზობს. დღეს-დღეობით შკოდა ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ბრენდია საქართველოს კორპორატიულ სეგმენტში.

19 წლამდელები ტესტ-მატჩებისთვის ემზადებიან

საქართველოს 19 წლამდელთა ნაკრები (1995 წელს დაბადებულები) სერბეთთან გასამართი ორი ამხანაგური მატჩისთვის (9 და 11 ოქტომბერი) ინტენსიურად ემზადება.

გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ვასილ მაისურაძემ თავისი რჩეული ფეხბურთელები სასტუმრო «ბომონდ გარდენში“ შეკრიბა. ნაკრები ყოველდღიურ ვარჯიშებს საგურამოს ბაზაზე ატარებს.

გუშინ საღამოს გუნდი საბოლოოდ შეივსო, როცა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის კლუბებში მოთამაშე ფეხბურთელები შეკრებაზე შევიდნენ. ნაკრებში გამოძახებულთა სია კი ასეთია:

მეკარეები: ბექა ქურდაძე («საბურთალო“), ტარიელ ხაინდრავა («დინამო“ თბილისი)

მცველები: გიორგი გაბაძე, ნიკოლოზ ჭანტურია, ოთარ კუსიანი (ყველა «ტორპედო“, ქუთაისი), ოთარ კაკაბაძე, ალექსანდრე გურეშიძე (ორივე «დინამო“ თბილისი), ჯემალ ტაბიძე («საბურთალო“)

ნახევარმცველები: ჭიაბერ ჭეჭელაშვილი («დინამო“ თბილისი), გიორგი გოროზია, მათე ცინცაძე, ნიკოლოზ ახვლედიანი, ლუკა კიკაბიძე (ყველა «ტორპედო“, ქუთაისი), გიორგი აბურჯანია («დილა“, გორი), გიორგი თევზაძე («საბურთალო“), ლევან შენგელია, გიორგი ბერიძე (ორივე «დილა 2“, გორი)

თავდამსხმელები: დავით ჯიქია, ალეკო მზევაშვილი (ორივე «ტორპედო“, ქუთაისი), ლუკა ზარანდია («ლოკომოტივი“, თბილისი), ილია კერძევაძე («დილა 2“, გორი)

19 წლამდელები პირველ მატჩს სერბ თანატოლებთან 9 ოქტომბერს გამართავენ, მომდევნოს კი -11 ოქტომბერს.

ორივე მატჩი გორში, თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონზე ჩატარდება და ორივე 15 საათზე დაიწყება.

შეგახსენებთ, რომ, 17 წლამდელთა მსგავსად, 19 წლამდელთა ნაკრებიც ემზადება უეფას ევროპის 2014 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მატჩებისთვის, რომელსაც ნოემბერში საქართველო უმასპინძლებს.

ქართველი 19 წლამდელები მე-11 ჯგუფში იასპარეზებენ და მეტოქეებად ჰოლანდიის, უელსისა და მოლდოვას ნაკრებები ეყოლებათ.

სფფ-ის პრესსამსახური

ქეცბაიამ ნაკრებში ახალგაზდა ავთანდილ ებრალიძეს უხმო

ესპანეთთან 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის ბოლო შეხვედრისთვის საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში ცვლილებები მოხდა. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ თემურ ქეცბაიამ ესპანეთთან მატჩისთვის გუნდში უხმო პორტუგალიური «ჟილ ვისენტეს“ 22 წლის ქართველ შემტევს ავთანდილ ებრალიძეს, რომელსაც მთავარ გუნდში აქამდე არასდროს უთამაშია. ასე რომ, ნაკრებში ებრალიძის დებიუტს უნდა ველოდოთ.

ახალგაზრდა ქართველი ფეხბურთელი პორტუგალიაში მშობლებთან ერთად ცხოვრობს. მისი პირველი პორტუგალიური გუნდი «ლაგოს დე ესპერანსა“ იყო. შემდეგ «ხეტაფეს“ ახალგაზრდულ გუნდში, «ჟუვენტუდ ევორასა“ და «ოლივეირენსეში“ თამაშობდა. ახლა კი, როგორც ვთქვით, «ჟილ ვისენტეს“ ღირსებას იცავს.

რაც შეეხება სხვა ცვლილებებს: ტრავმის გამო ესპანეთში ვერ გაემგზავრება ალექსანდრე ამისულაშვილი. მწვრთნელის გადაწყვეტილებით, სიაში აღარ არის ირაკლი მაისურაძე. ესპანეთში წამსვლელებს კი ალექსანდრე კვახაძე დაემატა.

საქართველოს ნაკრებისა და დელეგაციის ნაწილი ესპანეთში დღეს გაემგზავრება. ლეგიონერთა ძირითადი ბირთვი პირდაპირ ალბასეტეში ჩავა და გუნდი მზადებას დაიწყებს.

11 ოქტომბერს ყველა ფეხბურთელი ქეცბაიას განკარგულებაში იქნება.

ნოემბრის ტესტ-მატჩების სერიის შესახებ

რიჩი დიქსონი

ახლოვდება ნოემბერი და ჩვენც ველით ეროვნული ნაკრების მატჩებს ნოემბრის ყოველწლიურ ტესტებზე, რომლებიც საქართველოში გაიმართება.

რაგბის საერთაშორისო საბჭოსთან მუდმივი და ნაყოფიერი ურთიერთობის შედეგად, ჩვენი ნაკრებისთვის ნოემბრის ტესტების რაოდენობა სამამდე გაიზარდა.

ნოემბერში საქართველოში ისევ ჩამოვლენ კანადისა და ამერიკის ეროვნული ნაკრებები, სამოას ეროვნული ნაკრები კი პირველად ესტუმრება თბილისს.

კანადა. ამ ნაკრებმა 2011 წლის მსოფლიო თასზე თავისი თამაშით დაამტკიცა, რომ ანგარიშგასაწევი ძალაა. ამაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ ის პირველი გავიდა მომავალი მსოფლიო თასის ფინალურ ეტაპზე. ეს, რა თქმა უნდა, დიდი მიღწევაა. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში უკვე რამდენჯერმე ვეთამაშეთ მათ, ისინი კვლავ ძლიერ და კარგ ოპონენტად ითვლებიან ჩვენი ბიჭებისთვის. შეკრული გუნდი ჰყავთ და ეცდებიან ნოემბრის მოგზაურობა პოზიტიურად დაიწყონ. პირველი მატჩი ორივე გუნდისთვის რთული იქნება, რადგან მოსამზადებელი პერიოდი მოკლეა, მაგრამ, ამის მიუხედავად, თამაშის მოსაგებად ისინი ყველაფერს გააკეთებენ.

აშშ. კანადის მსგავსად, აშშ-ის ნაკრები ჩვენთვის კარგად ნაცნობი გუნდია. მიუხედავად იმისა, რომ ამ გუნდმა 2015 წლის მსოფლიო თასის საკვალიფიკაციო მატჩები დათმო კანადასთან, ის უდავოდ ძლიერი მეტოქეა. ამ მატჩისთვის გუნდი დიდი გულისყურით მოემზადება, რადგან, ისევე როგორც ჩვენ, ისინიც ჯერ არ გასულან თასზე. იმის გამო, რომ აშშ-ის ნაკრები ჩვენს ბიჭებს ხვდება, მას შემდეგ, რაც კანადას ვუმასპინძლებთ, ისინი ეცდებიან სრული პოტენციალის ჩვენებას და ჩვენთან მატჩში თავიანთი თამაშის ხარისხის აწევას, რათა მსოფლიო თასის საკვალიფიკაციო, ამერიკის კონტინენტის პლეი ოფების სერიაში უფრო გაძლიერებულნი წარდგნენ. ორივე გუნდს ექნება ჩატარებული თითო მატჩი და, აქედან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ მოუმატებენ და შთამბეჭდავ თამაშს შემოგვთავაზებენ.

სამოა. სამოას ეროვნული ნაკრები, რომელიც ამ დროისთვის IRB-ს მსოფლიო რეიტინგში მე-7 ადგილს იკავებს, ნებისმიერი ოპონენტისთვის უდავოდ ძლიერი მოწინააღმდეგეა. როგორც ვიცი, 28 მოთამაშე მათი 30-კაციანი გუნდიდან ევროპის სხვადასხვა ტოპ ლიგაში გამოდის. სწორედ ამ გამოცდილების შედეგად შეძლეს მათ თავიანთ ისტორიაში პირველად ასეთი მაღალი ადგილის დაკავება მსოფლიო რეიტინგში.

იმის გათვალისწინებით, რომ ეს იქნება მესამე და, შესაბამისად, ბოლო მატჩი ჩვენი ბიჭებისთვის ნოემბრის ტესტების ფარგლებში, მათ ყველა საშუალება უნდა გამოიყენონ, რათა განსაკუთრებულად მოემზადონ ამ შეხვედრისთვის. თავისი თავდაუზოგავი მცდელობებისა და მიღწევების გამო, სამოა ნამდვილად იმსახურებს მსოფლიო დონის გუნდის სტატუსს. გუნდი ყველა ძალას იხმარს, რათა არ დათმოს მატჩი ჩვენს ნაკრებთან.

საინტერესო ტესტების სერია ელით ჩვენს ბიჭებს ნოემბერში. გამოცდილებიდან გამომდინარე, იმედი მაქვს, რომ ქართული რაგბის ქომაგი მოვა მატჩებზე და ჩვენს ბიჭებს მხურვალედ უგულშემატკივრებს. თითოეული თამაში იქნება განსხვავებული და დარწმუნებული ვარ, უამრავ დასამახსოვრებელ მომენტს მოგვიტანს.

დარწმუნებული ვარ, ჩვენი გუნდი მოუთმენლად ელის თითოეულ ამ შეხვედრას, რადგან ეს მატჩები მოგვცემს ჩვენი პროგრესის ნახვის უნიკალურ შესაძლებლობას. რა თქმა უნდა, ეს მატჩები ნაკრებს ხელს შეუწყობს განვითარებაში და მოამზადებს მას მსოფლიო თასზე გასასვლელი ფინალური ეტაპისთვის - ევროპის ერთა თასის გათამაშებისათვის.

იმედი მაქვს, ყველანი უდიდეს სიამოვნებას მიიღებთ ამ საინტერესო შეხვედრებიდან. მოდი, ყველა ერთად გვერდში დავუდგეთ ჩვენს ნაკრებს, რადგან ნოემბერში ისინი ძალზე რთულ მეტოქეებს დაუპირისპირდებიან.

rugby.ge


PHOTOGRAPHED BY FRED MEYLAN
ELITE MODEL LOOK GEORGIA & ARMENIA FINAL SHOW
N°1 MODEL SEARCH WWW.ELITEMODELLOOK.COM/GE WWW.ELITEMODELLOOK.COM/AM
5 OCTOBER
Tbilisi, Georgia
20:00
elite 2013
MODEL LOOK
GEORGIA
ARMENIA
MODEL MANAGEMENT
kikala studio
MAX PROM
BEAUTY SALON L'Académie
OUTdooR.ge
saller
ADSSPRINT
SHOES-CAFE MADONNA
TBILISI MALL
McCANN TBILISI
NEPTUN
MUSIC BOX
MYVIDEO.GE
ego
GHN
ANGEL
MSG MARKETING
24 საათი
allmovies.ge
Pink
LUXURY
IMPERIAL PALACE HOTEL
KAMOBLOG.TV
FASHION BLOG .AM